

ლიტერატურული გზეუტი

№ 8 21 აგვისტო — 3 სექტემბერი 2009

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

დ ე ბ ი უ ტ ი

ზორენა
ბარელიკა:
„მტვერი ხომ
მინის დარდია,
ათას ნანილაკად
ქცეული და
სიღრმიდან
გამოყრილი.“

VI-VII

თორნიკა
ჭუმბურიკა:
„მოაჯირზე
აძვრა, მხრები
გაშალა და
გადაეშვა.“

X

სოსო
ყიფშიკა:
„ადამიანს
დავინახავ თუ
არა, მაშინვე
რალაც ისტორია
მომდის თავში.“

XI

პოეზია

მისაილ
ქვლივიკა:

რამდენი შარა გამოვიარე,
რამდენი დამრჩა გამოსავლელი,
რამდენი გული დავაიარე
შეშლილი, ბრძენი და უსწავლელი.

IX

* * *

შენ, ნოდებულო ქართლად, ეგრისად,
მხარეე ხოხობის, ოქროს ვერძისა,
ფეხვო ვაზის და ძელქვის ნერგისა,
სულის მშვიდობა აღარ გელირსა;
სულის მშვიდობა აღარ გელირსა;
ვერ ჩაიმუხლე ერთხელ ნებისად,
სულ გიდგას ჟამი ჯვარზე ვნებისა.

მაგრამ შევეყურებთ იმედით

დღეს სხვაგვარია დიდგორი,
სხვა ფარია და სხვა ხმალი,
დღეს ასპარეზი სხვა არის,
ჭკუა სხვაგვარად სახმარი;

ისევ ძველია მზაკვრობა,
არაფერია ახალი,
იგივე ზრახვია ბოროტი
და იგივე ხელი მსახვრალი;

მაგრამ შევეყურებთ იმედით
ჯერ შეუცნობელ მანძილებს,
„ქაჯნი“ რას იქმან, კი ვიცით,
მაგრამ ვინ გვიავთანდილებს?!

მატიანის გაგრძელება

ისევ დაირღვენენ „ეკლესიანი ხორცთანი“,
ისევ დამდგარა უმხედრო ცხენთა ფეთება,
ყელზე გვაბია ცრემლების კრიალოსანი -
კვლავ მოწამენი იხმო უფალმა, ქეთევან!

ვინ სთქვა, „შაჰისგან“ თავისუფლების ბარათი
მის ურჩ ქვეშევრდომს საკუთარ ხელში მიერთვას...
გრიგალია და ვითომ ნიავიც არა ქრის,
ო, ცბიერებაჲ უმაძლართა და ძლიერთა!

აღარ დავიღეთ თავი თვინიერ ხბოსავით,
განზილებული წინაპრის ვალი გვემართა,
ისევ მოისრენ „ეკლესიანი ხორცთანი“,
„ვერვინ შემძლებელ არს აღდგინებად ცხედართა“.

მაგრამ აღდგება მათი სამშობლოს ხატი და
არ მოაკლდება მათ სახელს ჩვენი ფერება -
საქართველოში რამდენი დედაც ატირდა,
„ქართლის ცხოვრება“ იმ ცრემლით დაინერება.

უფალს დაუბარებია

ფანჯრებს იქით ქარებია
და სამრეკლოს ზარებია,
რეკენ ზარებს ხმაშენყობით,
ვიდრე გაიბზარებია.

ხის ტოტებში მზის სხივები
ოქროსფერად გარევიან,
ციმციმი და ელვარება
როდი დაუზარებიათ.

შორით, ცაზე შეფენილი,
ღრუბლის თეთრი კარვებია,
იმათ მიღმა გაღებულნი
სასუფევლის კარებია;

იმ კარისკენ მიმავალი
წუთისოფლის მგზავრებია,
ცაში მათი სულის აღსვლა
უფალს დაუბარებია -
ცის და მიწის შუა ღობე
როდი გაუკარებია...

ლიმილის ესტაფეტა

ილიმებიან ყვავილები აპრილის თვეში
და მათი ერთი შემოხედვა ქვასაც ანაზებს,
მერე წალეკავს მათ დეკემბრის წვიმა და თქეში,
მაგრამ ლიმილი ისევ რჩება ამ ქვეყანაზე.

ლიმილი რჩება, ყვავილები ქრებიან მყისვე,
შავი ღრუბლები იღვრებიან გაბმულ წვიმებად,
მერე მზის სხივი ესტაფეტას აიღებს ისევ,
რომ სხვა ყვავილებს გადულოცოს ეს გალიმება.

ასე ბრუნავენ დასაბამით შვიდივე ცანი,
ლიმი ერთია, მოლიმარნი არიან სხვანი.



თამარ ერისთავი

არ მგონია

ერთსაც დასჭექს ბათარეკა
იმ ჩიტების გასარეკად,
ერთმანეთს რომ კორტნიან და
გასძახიან ნიო-ნიოს;
არ მგონია, კაჭკაჭებმა
კიდევ დიხანს იარნივონ.

ლეჩხის ალქიმიკოსები

არავინ იცის, ის ფიქრები
რა გზით მოქროდა
და ალაგზნებდა გრძნეულ მჭედლებს
სიტყვის ოქროთა;

ან რა ემბაზში აზავებდნენ
სიტყვას სიტყვასთან,
აზრებს, უფალთან მოუბარს და
გულის მიმტაცთა;

ან სიტყვის ზოდში როგორ რთავდნენ
გრძნობის მინარევს,
როგორ აქცევდნენ გულის ფეთქვას
ლექსის მდინარედ...

იდუმალეა უსაზღვროა
ამ მიწის, იმ ცის,
სიტყვის გენია სად იგრავინებს,
არავინ იცის.

* * *

ეს ცა ერთია,
მალლა ღმერთია
და ეს ლოცვები -
ყველა ერთიან
ამ ცის უსაზღვრო
სივრცეს ერთვიან.

* * *

წუთს, სწრაფწარმავალს,
ვერ დაადებ ხუნდებს
ბორკილად,
და ვერც სიმართლეს დააოკებ -
დროსთან მორკინალს.

* * *

მათ გაუმარჯოს,
ვინც სამშობლოს
სხვაზე ვერ ცვლიან -
თქვენს დაბრუნებას,
საქართველოს ზეცას
მერცხლიანს.

* * *

წარმავალია ამაო რიხი,
ყელყელაობა, ნაშოვნი ვერცხლით,
რადგან უფალმა მოგვზილა თიხით,
რადგან ცხოვრებამ გამოგვწვა ცეცხლით.

სახსლის გარიჟიჟი

ეს რა ლეგენდაა
ქვაში ჩამარხული,
რა ხელმა ამოჭრა
კედელზე ხახულის?

არ ცხრება ნაღველი
და ჩემში გასწივის
ასე დანყვილება
კურდღლის და არწივის -

მსხვერპლის და მტაცებლის,
სუსტის და ძლიერის,
ეს მკაცრი კანონი
სამყაროსმიერი...

ო, როგორ მაძრწუნებს,
შორით დანახული,
კურდღლის უმწეობა
კედელზე ხახულის.

* * *

ჩვენი სიცოცხლე
თითქოს ტირია,
გულზე თოფივით
დაგვეღირება,
კაცის თვალები
როცა ტირიან,
შადრევენებს რალა
ესიმღერებათ?!

* * *

რა ცოტას ძალუძს
ციდან ცეცხლი რომ მოიტაცოს,
კიდევ იმეფოს ქვეყანაზე,
კიდევ იკაცოს.

* * *

მშობლიურ ენის ნათების ნაცვლად
უცხო სიტყვათა მოდის ნეონი,
და ფერმკრთალდება ქართული სიტყვის
სამთავარიონი და სამზეონი.

მტკვარი და არაგვი

სვეტიცხოველთან ჯვარს იწერენ
მტკვარი და არაგვი,
თან მოაქვთ ღვთიურ სიყვარულის
ულევი მარაგი.

ამ მიწამ მათი სადღეგრძელო
მრავალჯერ დალია,
არაგვი მტკვრისათვის მარადი სატრფო და
პატარძალია;

და მიფრიალებს ჯვრის მონასტრისაკენ
ნისლების ფატი,
ცა ხან მზის ცხელ სხივებს,
ხან თოვლის ცივ ფიფქებს
მათ გზაზე ფანტავს;

ამ ორი მდინარის მარადი კავშირი
სამყარომ იწება,
დალოცვილია ღვთაებისაგან
ეს ქორწინება.

აქ, მცხეთის მიწაზე, საუკუნეებს
მაცრებად უვლიათ,
ეს მათი სიმღერის მარადი გუგუნი
და სასწაულია.

აქ არის ტახტი და
აქ არის გვირგვინი
მარადი ქართლოსის,
აქ არის თარიღი
ცა-მიწის კავშირის,
ქართველთა აქ მოსვლის.

სვეტიცხოველთან მზის გვირგვინს იდგამენ
მტკვარი და არაგვი,
თან მოაქვთ ღვთიური სიყვარულის
ულევი მარაგი.

ორსული

ცხრა თვე როგორც ერთი წუთი, მე რას მეყოფა. მთელი ცხოვრება მუცლით უნდა გატარო. ჩემშივე უნდა გაგაჩინო, ფრჩხილივით ჩაგებრუნო სისხლძარღვებში და ჩემივე ტკივილი კვირტისხელა ენის ხავერდით აგალოკინო.. ჩემს მუცელში უნდა გამოგზარდო. ძუძუს ხვრელებში ბალახით შეგიძვრენ და სანამ რძე მექნება, იქ დაგაბინავებ.. მერე გადაგიყვან იეზით მოჩითულ პატარა ოთახში, მზე სამი მხრიდან შენს თავზე იდინებს, სალამოს მოგიჩრდილავს გულის კედელი.. ჩემს მუცელშივე შეგიყვან სკოლაში, შენ დაეტოლები ჩემს ჩრდილს ასფალტზე და რომელიმე კაპილარზე მიმანერ, რომ უკვე ამდენი სანტიმეტრი ხარ.. მალე კაპილარები ტვინამდე ამალდებიან და ჩვენს ახილ ქერში გამოჩნდება ცა, რომელზეც გამოიყვან უტოლობის ფორმულებს, სიტყვები კი, შენს ტურნებზე მონეტებივით ინკრიალებენ. ჩემს მუცელშივე ისწავლი ცურვას და ლამაზობით თეთრდათვებიან წყალში გამეპარები.. მე დიდის ამბით ვიქოთქოთებ, ქვეყნიერებას ავახმაურებ, შენს თავს ვის აღარ მოვაძებნინებ! მერე ჩავჯდები ჩემსავე ნაპირზე და ჩავთვლემ. არავინ არ ამოვა წყლიდან ისე ლამაზად, როგორც შენ! არაფერს არ ექნება ისეთი სურნელი, როგორც შენი ხელის შეხებას ჩემზე!.. შენ თეთრი დათვების დანაბარებს მაკოცებ და ერთად გავწევთ განთიადისკენ. სიყვარულსაც მე შემოგიძღვი ჩემში. პაემნებზეც ჩემს მუცელში უნდა იარო და ორსულ გვამში ველარდატეულმა ერთ დღესაც, ახილ ქერში უნდა იქორწინო. ფოთლები გამცვივა ვნებისგან... მერე მე ისევ ამტკიცდება წელი, ფრჩხილებით მწვანე ბალის გაზონს ჩავეჭიდები და შენს შვილებს გავაჩერ. ისინი გაახელენ მარცვლისოდენა თვლებს და ჩვენს ორ სულს ჩიტებად შეასხდებიან. ჩემი მეზობლები და ნათესავები რიგრიგობით აქედან წავლენ.. მე კი დავრჩები, როგორც რჩებიან ხოლმე მუსიკალური სკოლის ეზოში დედები, შვილებს რომ ელოდებიან.. დაველოდები შენს ბოლომდე გაზრდას, შენს სიბერეს, ჩემივე ხმელი ძვლებით დაგინთებ კოცონს, ჩემი სიმღერის ხმაზე შეგიგროვებ მოდგმას, ჩემს მუცელშივე დაგალოცინებ... მერე ორივე ავხდით ქალარა ქერს, ავუშვებთ ყელის საკვამურიდან ამ ჩვენს სიმღერას და გაიგონებს ის, ვინც გამაჩინა დედად და შვილად, ის, ვინც თვითონაც ორსულია ჩემით და შენით.. ამ სიმღერას არა აქვს საზღვარი.. ამ სიყვარულს არ უჩანს ბოლო..



ნინო სადღობელაშვილი

მთავისკვლი

მიდის ზევითკენ. ბარში, ბალახზე შეინმინდა ფეხისგულები, პური და სანთელი ჩაიდო, თვალები ღრუბლის ხილაბანდით აიხვია და, ზევითკენ მიდის. გზადაგზა ვარსკვლავები ქინქლებივით ეყლაპება... ადამიანები კი ჭიანჭველების მწკრივში დგანან... გარშემო მხოლოდ აღმართებია, თითქოს აყირავდა დედამინა და შინმისასვლელი გზებიც თავქვე დაეკიდა ციდან. შინ მივა კი არა, ვინც ახლა შინ ავა, ვინც ახლა შინ ავა მშვიდობა იმას! ბუბუნით მიდის. ქალღმერთივით შემოხვდება ედელვასი, არ ახსოვს ცოლი, თორემ მოწყვეტდა და ჯვრისნერაზე დანაპირებს აუსრულებდა... არ ახსოვს შვილი, თორემ უკანდაბრუნებაზე იფიქრებდა... გულისქაქანით ზევითკენ მიდის. მთები ისეა გადაწვლილი, როგორც ჩუქურთმა. მიწის საყდარს სარკმელთან ადევს. იმ სარკმლიდან უნდა გადაიხედოს, ცოლის მაგივრადაც, შვილის მაგივრადაც, მამამისის მაგივრადაც, შვილიშვილის მაგივრადაც, რადგან დამპყრობელის გუმანით იცის, კარგახნით დაასვენებს მის თიხას ბუნება, სხვისაში აამღერებს ვარსკვლავთა ქარიშხლებს. მიდის ზევითკენ. მარმარილო პრიალებს ნისლში. თოვლი ისეთია, ხმა რომ გასცე, რამეს სიზმრად შემოგაგებებს... მიდის, როგორც ენისწვერზე მომდგარი სიტყვა და სულცოტაც და, მასაც დაწერს თოვლის ანბანი... მწვერვალი ქარის სიმღერაა ფეტვის მარცვლივით ცაში გაფანტული და ვაი მას, ვისაც შემთხვევით გაღელილ გულში ჩაუვარდა და ვაი მას, ვისაც ჩაესმა! ველარავინ შეაჩერებს, ბარში, ბალახზე შეინმინდა ფეხს, ჩანთაში პურს და სანთელს ჩაილაგებს, თვალს ღრუბლის ხილაბანდით აიხვევს და, თუნდაც მერე გაზაფხულდეს... მთაში თოვლი დადნეს... თოვლში ვინმე კაცი ნახონ გათოშილი სადმე... ცოლი ცხრა თვე წერილს წერდეს თურმე მკვდარი ქმრისთვის, გაალონ და დაატყინონ: თავს იკლავდი რისთვის?.. მწვერვალი ქარის სიმღერაა და შინ ვინც ავა, დიდი დედა უმღერებს მას.

იანვანა

უძღვნი ყველა დასაბადებელ ბავშვს, რომელთა ჯარისკაცმა მამებმაც ვერ მოასწრეს გაეცნოთ ისინი.

მთვარეს შუქი უთოვია, მზისგან გამოუთხოვია... აკვანში რომ ატმებია, ვარდის ძუძუ უნოვიათ, აკვანში რომ მინდვრებია, იისფერად ბინდებიათ, ცაცხვი, ბალბა, ოქრო ცქერით დალბა... მეაკვნი და მეტრფე... სიზმარია ალბათ... ქარი შორიახლო ქრის... ვისი დარდი მოაქვს, ვის... გუბეში რომ მოჩანს, ცაა, ჩემი შვილი შენიცა... აკვანში რომ წყარო დის, დაღვე, შემინყნაროდი... ქარი კეცავს ნაპირებს, ქარი წასვლას აპირებს... ამ აკვანში მახარია ბიჭი ახალთახალია, გული უჩანს ლებანოზი, შიგ უღურტულებს ანგელოზი... ეს თვალები სიზმარია, ეს ტურები სიზმარია... ნატყვიარი აკვანია, ბიჭი ამოსაყვანია... ბიჭი მალე გაიზრდება, წვიმად ჩამოწყდება ცას, იდინებს და იშხაპუნებს, ბალახს დაუკოცნის ცვარს... აკვანში რომ ღრუბლებია, ცის და მიწის ზღურბლებია, დაიფარეთ... დაიფარეთ... ჩემი შვილი თქვენიცაა!

კლდეები

კლდეები ჩემი დები არიან. რიგრიგობით დაგვანინა დედამ, ამოგვყარა უკუნეთი საშოდან და მზისგულზე პურებივით დაგვანყო, მე ნაბოლარა ვარ. პირქუშად დგანან ჩემი დები, რომ მოკვდე — წარბს არ გაგისხნიან, ეგრე, უჩუმრად მასწავლეს თმის დავარცხნა, კაბის ჩაცმა, სხვასთან წოლა და მარტო სიარული.. გულით რომ გინდოდეს, ვერაფერს კითხავ, მხოლოდ თვითონ ლაპარაკობენ, ისიც — უსიტყვოდ, უსიტყვოდ, მოკუმულ ტურებზე ბალახი ახმებათ და უთქმელობის ოქროსფერი ოფლი სდით. ჩამდგარან თავიანთ ჯალაბში, მუხლებში ცხრაპირად ჩაუქეციათ კალთები, პირგამეხებით ზეცას ასცქერიან და თვალი არ ეხუჭებთ.. გულზეთან ბავშვიც რომ აუტირო, არ შეირხვევიან, შუადლის ატლასით აიკრეს მკერდები.. რალაც იციან ჩემმა დებმა და ჯერ არ მეუბნებიან, ჯერ უხმოდ მზრდიან და ყოველ დილით ქუთუთოებს მიმომმებენ — ხოა მშრალეები! მკლავებსაც მისინჯავენ — არ დამირბილდეს და ცეცხლში წასაყოფად უძღური არ იყოს.. მუცელსაც ყოველდღე ნახულობენ — ხომ ღრმავდება სისხლის საგუბარი, სადაც ერთ დღესაც მთელი ჩემი თავი ჩადგება და აღარასდროს დავიფანტები.. რა გულქეები არიან ჩემი დები, სიზმრებიც კი ჩამომვარცხნეს და თმის ღერებივით გაატანეს ქარს.. სახლი მევე ამაშენებინეს, მთელი ღამე წყალი მაზიდინეს, ჩემივე ტერფებიდან თიხა მაზელინეს, ჩემივე მკლავებიდან ქვა მათლევინეს და, გამთენიისასლა რომ ამოვთქვი: „დავილაღე-მეთქი, დავილაღე“, — მერეღა შემეშენენ, მოიყვანეს და სულ სხვა შეასახლეს შიგ. უსამართლოები არიან ჩემი დები, სიკვდილსაც არ მაღირსებენ, სანამ არ გავიზრდები. სანამ ისე არ გავიზრდები, რომ შევიყვარო ისინი



და გავუგო მათ უხმო ენას
და შევძლო,
ათასი ატლასით აკრული მკერდიდან
მანც ცხელი რძე მდიოდეს და
მთელ დედამინას
ცვარით ჩასდიოდეს პირში...

სახეღარი

დავიბადე თუ არა,
შენც იმ დღესვე შემოგადგეს
ჩემს ეზოში,
გარედან კარი მოგიკეტეს და
დაგტოვეს სამუდამოდ.
რა იყო ჩვენი სიმდიდრე? –
ცოტა პური და მტვრიანი ქერი,
მე ვიზრდებოდი და
შენ კი თვალბეჭდში
წყალი გიღრმავებოდა.
საწყალო, სად აღარ გატარე!
აგვიდებდი ხოლმე
ამდენ პატრონგამონაცვალ ხერხემალზე,
თუ რამე მეზადა,
გავშლიდი სიზმრებიდან გადმოხატულ
რუკას,
დავხუჭავდი თვალს და
დავასობდი საჩვენებელ თითს –
აი, ამ ქალაქს,
ამ ხეივანს გამატარებ, სახეღარო! —
მღვრიედ გეტყობი...
ან რა ჩვენი ქალაქი ის იყო,
ან რა ჩვენი გასავლელი ხეივანი!..
სულ თავქვე გატარე, ცისთვალეზე,
როცა უმიზნოდ დაეხეტები –
თავქვე დადიხარ, აბა რა არის!
რამდენჯერ უხმოდ ჩაიჩოქე,
ჩემთვის არც კი ამოგიხედავს,
ასე მხოლოდ დედები იჩოქებენ,
შვილებს რომ არ დაენახონ,
ისიც ხანდახან...
რამდენჯერ მიწაში წარგე ტუჩები,
სიმწრის ნერწყვით დაასველე და
იმანაც,
თითქოს ცამდე ამ სისველით გაფუებულმა,
წვიმით გინამლა!
ან როგორ თოვდა შენს გარშემო
ცაცხვის ფოთოლი!
ან რა სიმშვიდით მიათრევედი
ყველაზე მძიმეს სამყაროში –
ჩრდილის საპალნეს!
მაგ გამობუგულ ფერდებშიც
რამდენჯერ მოგხვდა!
სახედრის წესია –
ურჩობისთვის უნდა დაირტყას
მათრახი!
სახედრის წესია –
ერთი გზით მაინც პატრონის გზას გადაუხვიოს,
ერთი ნებით მაინც მის ნებას ასცდეს,
მერე გიჟივით გახევდეს მზისქვეშეთში და
პატრონს ისაც კი აფიქრებინოს:
წამი გაქვავდა!
როცა სახედრის პატრონი გქვია,
მათრახიც თან უნდა გქონდეს..
როცა წინ
სიზმრებიდან გადმონერილი რუკა გაქვს
გაშლილი,
მათრახსაც ნიავის გემო აქვს.
თვალეზანთებული მიდიხარ
ქალაქისკენ,
გზა მაგნოლიის ხავერდით გსუსხავს
და
გული – ამდენჯერ პატრონგამოცვლილი
ბებერი სახეღარი —
ზურგით მაცხოვარს მიატორტმანებს.

გურამ რჩაულიძის

საშენო საქმეა –
ჩამოუარო მარადისობის
დამტვერილ დერეფნებს
და თაროებზე
წაუკითხავი ქრონიკები ეძებო:
„სახლიდან გავედი და
შეუძლებელს ვეტრფი,
ადრე ვცხოვრობდი
ქალაქგარეთ, იეზის სანაპიროზე,
ერთხელ ერთი წიგნი ავიღე და
იმის მერე ყველაფერს
სამყაროში
იმ წიგნს ვატოლებ,
ერთი ბიჭი შემეყვარდა,
რომელიც თვალთაც არ მინახავს
რადგან,
სანამ დავიბადებოდი
30 წლით ადრე მოკვდა –
ცალ ხელში მზე ამოეჩარა და
მეორეთი კი ზეცას ფილტვებიდან უღებდა

წყალს...
იმდენი წელი ვიცოცხლე,
რამდენიც იმ ბიჭმა და,
კიდევ ცოტათი მეტი,
მანც იმის წილ ღრუბელს
მოვიჩოჩებდი ხოლმე და
ხბოსავით შევეყვოფდი თავს,
სადაც წავედი,
ყველგან მარტოობის მათრახით გამომყვია,
იმსიმალიდან დამყვიროდა და
ლაჟვარდის ხმა ჰქონდა,
მე ველარავინ მოვატყუე,
ლაჟვარდს ვერ ვუღალატე,
სახლიდან გავედი და
სახლი წყალმა წაიღო.
ევკალიპტები გვედგა ეზოში და
ისინიც წყალმა წაიღო..
ყველანი ქუჩაში გავედით და
ზარების ნაცვლად
საათები დავკიდეთ,
ქარი მოდიოდა და
როცა უნდოდა, რეკავდა..
ველარსად ვნახე მე ის ბიჭი,
ან იქნებ სამუდამოდ წავიდა
ჩემგან,
ან იქნებ სადმე ცხენს აძოვებს და
მანძილს ზეერავს – გამოქანოს,
ან იქნებ გზები აღარ იცის
ან თუ შეგხვდეთ რომელიმეს და,
ეგება უთხრათ,
ქალაქის მთავარ მოედანზე ვდგავარ
(იქ ყოველთვის ვიღაცა იდგა!),
მოვიდეს და თავისი სანადირო თოფიდან
მესროლოს.
თოფის ხმა და ზარის ხმა
რამ გაყო,
უთხარით – არ ამაცვილოს.

ჭირისუფლის სიმღერა

მკვდრებმა დამარხონ თავის მკვდარი.
ჩვენ ვცოცხლობთ მღვრიე წუთისოფელს.
ჩვენ ვცოცხლობთ დილით მზის ამოსვლას,
ბალახის ნამს და
პურის ყანებს ზღვების გზაჯვარედინზე.
ჩვენ ვცოცხლობთ იმას,
რომ ერთხელაც აღარ ვიქნებით
და ყოველივე
არყოფნამდე განწირულია.
მკვდრებმა დამარხონ თავის მკვდარი,
შენ ნუ შეუშლი.
არც შენგან მიყრილი მიწა უნდათ,
არც შენგან დიდხანს დატირება,
თვითონ იციან ეგ წესები,
სხვა რა საქმე აქვთ —
არიან და მიმსვლელს იღებენ.
ახალმისულის დანახვაზე აიშლებიან,
ერთად შეეყუდებიან ქაფიან მკლავებში,
ერთად წააფრიალებენ მარჯვნივ და
პირდაპირ,
სულ ერთად არიან და
ამ ერთადყოფნითაც აღგვემატებიან,
სამყარო თავქვეც რომ დაკიდო,
წვეთი სული არ დასდინდებათ,
ამიტომ, აცადე,
თვითონ დამარხონ თავის მკვდარი,
შენ მე მიცოცხლე.
სანამ მაცვია დაბადება
და ჩემთან ყოველ შეხებაზე
ცისკენ ინევენ მოელვარე ატმის რტოები,
სანამ სიკვდილი შეგვიძლია
და უარყოფილ სატრფოსავით
სიკვდილს არ ვკვდებით,
სანამ სიმორეს
მკლავებით ვზომავთ და
გულის მუხლი გვედრიკება
დაღლილობისგან...
სანამ უხილავს ჯიუტად ვუმზერთ
სხეულების ჭუჭრუტანიდან
და ვხედავთ იმას,
რომ ვიღაც მიმოღის
წამიან გზებზე
და ჩვენივე თავისგან გვმიჯნავს,
სანამ მარტოობას
იფნის ტოტივით პირწმინდად გავთლით,
რომ მერე ქარმა მიაღოს ტუჩი,
რომ ქარმა რამე სიმღერა მოთქვას,
რომ ამ სიმღერამ
ჩვენი სიცოცხლე
იქამდე სრულყოს,
იქამდე სრულყოს —
ვიდრე არ მიცხოვრებ ჩემივე მკვდრებამდე
და აცდი მათ, —
კანგაცლილებმა,
უსაზღვროებმა,
ერთადყოფნის დიდი კანონით,
შენი მკვდრები თვითონ დამარხონ.



მთიბველი

მამი,
ჩათიბე ჩემი ბალახი,
მთელი წლის ნაზარდი და
ნალივილივარი,
მამი,
მთიბველის წესია –
უნდა მოვიდეს და მიწა ამოასუნთქოს.
საქმე ბევრი გაქვს –
რამხელა სათიბია,
მთელი წელი ვქსოვე და ვშიბე,
ვარღვევდი და ხელახლა ვაგებდი,
თვალდათვალ გზები გამომყავდა,
გზებზე ბავშვები შევყავენე,
ფრთხილად ვუბიძგე თოთო წვივებში და
გზებზე გავყარე ნაპერწკლებივით,
იქნებ რომელიმე საზღვარსაც კი გადასცდენოდა...
მამი,
მთელი წელი ვზარდე ბალახი,
როგორც, თმა რომ მოუშვა და
არც შეიღებო,
ერთად იდინოს ჭალარამ და თაფლისფერმა,
ერთი – მიუნვდომლისას ამბობდეს და მეორე –
ვნებისას,
ერთმა თავი გათქვას და მეორემ – გული..
მიწა სულ მთებზე და მემჭმუჭნა
ამდენ ჯღაბნაში,
ქსოვა – შიბვაში,
ხან ხელს მოვხვევდი, რომ
ამელო და ღრუბლებს იქით გადამესროლა,
მერე გავშლიდი, გამოვხსნიდი,
ჩავეხდავდი მშიერ ნანერში
და ბალახის გამძლეობა გამაკვირვებდა!..
ჩათიბე, მამი,
ერთი ღერიც არ დაინანო
(მაგ ერთმა ღერმა იცის –
ახალში რომ გამოერევა და
ყველაფერს გარშემო
თავის ფერად წამოატყობს!)...
წლისთავს ვიმკი,
ბალახის ქვეშ წვანან
ჩემი მკვდრები,
რაც მიწის ზემოთ ამოიზარდა –
ეს აჩრდილია.
აჩრდილები ჩათიბე, მამი,
მთიბველის წესია –
წელიწადი ხორკლივით უნდა
გადაატაროს
და, თიბვისას
ცელზე ცრემლი თუ წამოგედო –
არ გააპო,
უბეში გამოაცხვე და –
მარცვალია.

მიხეილ ქვლივიძის გამოუქვეყნებელი ლექსები

მე მეგონა — ბედის ქორწილს დავესწარი
თურმე თოვლი დამჯდარიყო სხვენზე.
რა ვუყოთ, რომ წლებით ოდნავ გამასწარი,
მე ხომ სულით მოხუცი ვარ შენზე...

შენს ძებნაში შორი გზები მოვიარე,
ცხოვრების გზა თითქმის გამოვლილია.
რა ვუყოთ, რომ შენს თვალეში თოვლი არი,
ჩემი სული სულ მთლად დათოვლილია.

მე მეგონა — ჩემს განთიადს დავესწარი,
გათენდა და თოვლიც გადნა სხვენზე...
რა ვუყოთ, რომ წლებით ოდნავ გამასწარი,
მე ხომ სულით მოხუცი ვარ შენზე!

ეცილებოდა სიგიჟეში მარტი თებერვალს,
თან ასწავლიდა ათასგვარ რამეს:
წვიმას,
ხოშაკალის,
მარჯვედ შებერვას,
ელვის დანებით დასერილ ლამეს...
ეცილებოდა, ასწავლიდა და ვერ ატყობდა
რომ ყველაფერში... მასწავლებელს მონაფე ჯობდა.

შაჰოვანის მზა

გაეხადა ბალს სამოსი
წვიმის ცრემლით მინისლული,
იდგა სუნი საღამოსი,
სინესტის და ფოთლის სუნი.
მიჰყოდა ქარი ღრუბლებს,
ხეივანში მზე იწოდა,
მერე — კარი გაიხურეს —
მზე არავინ შეიცოდა
იქვე, ბაღში გამოკეტეს,
ღამე იყო — რა იცოდა?!
1948

მთვარიანი ღამე

მთაწმინდა — წმინდა სავანე მოგვთა
და გზა — ყვითელი სხივების გარე,
სიცოცხლით სავსე მზე თითქოს მოკვდა
და მის ცივ ცხედარს დაერქვა „მთვარე“.



მთვარის ღიმილი დაეცა ქუჩას —
ვერცხლია ზეცა და ფილაქანი,
მუხლისთავები ღამეს რომ უჩანს,
იმიტომ ისმის ქარის ქაქანი...

ასეთ ღამეში ლექსიც მეტია
და კაციც ფიქრობს, რატომღაც ასე:
ალბათ მზიანი დღე ასეთია
მიცვალებულთა სამეფო კარზე.

გზაში

რამდენი შარა გამოვიარე,
რამდენი დამრჩა გამოსაველი,
რამდენი გული დავაიარე
შეშლილი, ბრძენი და უსწავლელი.
1943-1946 წ.

ოცი წელია ვეძებ იისფერს
და ვმოგზაურობ ზამბახთა ველით,
გზაზე მრავალჯერ შევხვდი პირისპირ
მარადისობის მოციქულს ცელით.

მან ამარიდა სიბერე სიტყვის,
მანვე შემარგო ყოფნა უტოლოდ...
— სიკვდილი ახალს არაფერს მეტყვის,
იგი უსიზმრო ძილია მხოლოდ.

თითქოს მოიხსნა ბედმა პირბადე
და გამოიღმა პოეტს ჟინიანს:
მე მოვკვდი იმით, რომ დავიბადე,
მე სხვა სიკვდილის არ მეშინია!..

გავეკიდები გზას უნაპიროს
და მსურს გავიგო — რა მელის წინ მე,
და ვიცი: როგორც დამწვარ პაპიროსს
მეც ამ შარაზე გამთელავს ვინმე.

ვიცი: გული და ბედის პირბადე
მხოლოდ და მხოლოდ ლექსის ჟინია...
მე მოვკვდი იმით, რომ დავიბადე,
მე სხვა სიკვდილის არ მეშინია!..
1944

ორი პაროღია ვ. ჯავახიძის

1.
ხის რგვას ვერ სჯობს მოჭრა ხისა,
ათზე მეტი არის ასი...
ზოგჯერ, ნაცვლად „დორ-ჩარისა“,
„დუ-ბეშის“ და „დუ-ბარასი“,
ჯდება მარტო „დუ“ ან „ბეში“
და თუ წყვილებს მაინც ველით,
სანამ წავალთ დიდუბეში,
სულ ვაგოროთ კამათელი!

2.
ჰგავა და ვერ გამოჰგავა
უამინდობის ბოლი...
კაცს ჰყავდა დედა — როგავა
და როგამოვა — ცოლი.

დედა ეძახდა „ალექსის“,
ცოლი ეძახდა „ალექსს“...
ვისაც მოდერნი არ ესმის,
ის ვერ გაიგებს ამ ლექსს!

გამოხმაურება იოსებ ქუმბურძე შენს აბეჭედი

მეც უხსენებლად დავტოვე. მით უმეტეს, რომ დასახ-
ელების აუცილებლობა არ არსებობს. კარგა ხანია, ისე-
თი ეპითეტები მოარგეს, ნებისმიერი მათგანი რომ ვახ-
სენო, უმაღლეს გამოიცნობენ — ან „მორიელი“, ან „ქარ-
თული პოეზიის ჭინკა“, ან „პრემიებით მოვაჭრე“... რაკი
თვითონ „უხსენებელი“ ურჩევნია, იყოს ნება მისი.

არა! ამ (ანუ მის) სტილში ვერ გავაგრძელებ, რადგან
ხელს მიშლის ზრდილობა, რომელიც ვერ ოჯახში მას-
წავლეს, შემდეგ — სკოლასა და უნივერსიტეტში. ზრდი-
ლობას მერეც, დიდ პიროვნებებთან ურთიერთობითაც
ვითვისებდი — აკაკი განურელიასთან, რევაზ თაბუკაშ-
ვილთან, ვახტანგ ტაბლიაშვილთან, მიხეილ თუმანიშ-
ვილთან, რევაზ თვარაძესთან...

აქ შევჩერდები: ბატონი რევაზ თვარაძე, მართლაც,
ზრდილობის, ზნეკეთილობის, ღვთისმოსაობის, საერ-
თოდ, კაცობის ეტალონი იყო.

წარმომიდგენია, რა დამემართებოდა, უხსენებელი
პოეტის პასკვილები რომ წაეკითხა.

რა დასანანია, რომ 77 წლის კაცი შვილებსა და შვილ-
იშვილების თაობას ასეთ მაგალითს აძლევს.

77 წლის კაცი რომ სიტყვას გატეხს და საჯაროდ
დათქმულ პირობას არ შეასრულებს, ამაზე უარესი რა
უნდა იყოს?!

აი, მისი სიტყვა ანუ პირობა:

„თუ რევაზ თვარაძის უმცროსი ვაჟი, ბრწყინვალე
მეცნიერი, დიდად ერუდირებული მკვლევარი სანდრო
თვარაძე ჩათვლის, რომ ის, რაც ვთქვი, შეცდომაა, უყ-
ოყმანოდ წავიღებ უკან ჩემს სიტყვას“.

შეცდომაზე უარესიაო, — უთხრა სანდრო თვარაძემ.
მან კი . . . სიტყვა უკან წაიღო კი არა, კიდევ ერთი
პასკვილით შეურაცხყო ბატონი რევაზ თვარაძე.

77 წლის კაცი რომ ტყუილს იკადრებს, ამაზე უარესი
რა უნდა იყოს?!

აი, მისი ტყუილი.

„მე ერთ ბრწყინვალე პოეტს — გალაკტიონ ტაბიძ-
ეს ვამჯობინე ყველაფერი, რაც დანარჩენ საქართვე-
ლოს პოეზიის დარგში შეუქმნია!“

ჩვენ კი ამ აზრის გამო ვედავებოდით:

„მე შემძლია, შევადგინო XX საუკუნის ქართული
პოეზიის ანთოლოგია გალაკტიონის გარეშე“...

საკითხი მეოცე საუკუნეს ეხებოდა. შოთა, ილია, აკა-
კი, ვაჟა და ბარათაშვილი იქ არ იგულისხმებოდნენ.

კაცი, რომ მეგობარ მწერალს (დიდებულ მთარგმ-
ნელს, ლიტერატურათმცოდნეს...) ერთ აბზაცში სიყ-
ვარულს და ერთგულს ეფიცება, მეორე აბზაცში კი
ხელმოცარულ პოეტებში მოიხსენიებს, ამაზე უარესი რა
უნდა იყოს?!

მოდი და ყოველივე ამის შემდეგ, ხუმრობად აღიქვი
ის ფაქტი, ერთ-ერთი ყველაზე ხეირიანი სტრიქონი ასე
რომ გადაუკეთეს: „უხერხულია, შენ გერქვას კაცი“.

მთელი სერიოზულობით ვიტყვი: ვერ წარმოვიდგენ-
დი, თუ დღევანდელ საქართველოში კიდევ არსებობდა
თუნდაც ერთი კაცი, ვისაც გალაკტიონი სძულდა.
არსებულა!

და ეს სიძულვილი იმდენად ძლიერია, რომ ამას ანერ-
ინებს:

„ვახტანგ ჯავახიძე წერს: კონსტანტინე გამსახურ-
დიას უბრძანებია, ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა გალაკ-
ტიონის უფაქიზეს შედეგებს ვერ შექმნიდნენო!... შეი-
ძლება, კ. გამსახურდიას ეს აბსურდული ფრაზა დავი-
მონმოთ?“

რა გასაკვირია, ასეთ კაცს ჩემი ნაწერი აბდაუბდად
რომ ეჩვენებოდა. თანაც, მე ხომ „ექსპერტი“ კი არა,
ჟურნალისტი ვარ! ავინყდება, რომ თვითონაც ჟურნალ-
ისტია (პოეტის ან კრიტიკოსის დიპლომი არ არსებობს)
და ამ პროფესიას ისე ახსენებს, თითქოს სათაკილო იყოს.
მე კი ყოველთვის ვიამაყებ იმ ფაქტით, სადაც სხ-
ვადასხვა დროს უსწავლიათ ოთარ ჭილაძეს, ნოდარ ტაბი-
ძეს, ვახტანგ ჯავახიძეს, თეიმურაზ მეტრეველს, მაკა
ჯობაძეს, ლევან ბრეგვაძეს...

დიახ, მე ჟურნალისტი ვარ და არა ექსპერტი და პო-
ეზიის იმდენად არაფერი გამეგება, რომ მეოცე საუკუნ-
ის პოეტთაგან, ყველას გალაკტიონი, ტიცინა ტაბიძე,
ლადო ასათიანი, ანა, მურმან ლებანიძე და მუხრან მაჭა-
ვარიანი მიჩვენონ. ნახეთ, ვის ეტოლება! ღმერთმა
დამიფაროს, მაგრამ გურამ ასათიანს კიდევ რომ დავე-

ტოლო, ეს უფრო სასაცილო იქნება, თუ ის, თვითონ გა-
ლაკტიონს რომ ეტოლება?

ბაბუ, გიჟია? — უკითხავს, თურმე, შვილიშვილს მის-
თვის, ჩემი სტატიის ნაკითხვის შემდეგ, არ ვარგა ასეთ
ამბებში შვილიშვილების გარევა, მაგრამ, რაკი ბაბუმ
საამისოდ გაიმეტა, ერთს ვიკითხავ:

საინტერესოა, მაშინ რა უთხრა, მისი ასეთი ნააზრევი
რომ ნაიკითხა — გალაკტიონზე შორს გავიხედო.

სამართლიან შვილიშვილს, უკეთეს შემთხვევაში, მძ-
იმე შეკითხვიდან მძიმის ამოღება ხომ არ მოუწევდა?

ეს კაცი ხშირად იგონებს ერთი ბრძენის გამონათქ-
ვამს — 60 წელს რომ გადავაბიჯე, მაშინლა მივხვდი, რომ
არ უნდა ვიკამათო.

თვითონ ამას 77 წლის ასაკშიც ვერ მიხვდა.

სულ კამათობს.

თანაც, მიცვალებულებსაც ებრძვის და ეკამათება.

თვით გალაკტიონსაც ებრძვის!

ცხადია, ვერაფერს დააკლებს.

ვერც გალაკტიონს.

ვერც კონსტანტინე გამსახურდიას.

ვერც რევაზ თვარაძეს.

ვერც...

გალაკტიონი ყოველთვის დარჩება გენიოს პოეტად.
კონსტანტინე გამსახურდია ყოველთვის დარჩება

დიდ ქართველ მწერლად.

რევაზ თვარაძე ყოველთვის დარჩება პირველხარისხ-
ოვან ლიტერატურათმცოდნედ და გალაკტიონზე ერთ-
ერთი საუკეთესო წიგნის შემქმნელად, ამასთანავე, კა-
ცობის ეტალონად.

გალაკტიონოლოგია (რომელსაც ასევე ებრძვის)
კიდევ უფრო გაძლიერდება.

სხვათა შორის, მოვა დრო და ანალოგიაც (დიახ, ანას
კვლევის ცენტრი) შეიქმნება და „ის“ ოთაროლოგიაც, ასე
მოიარებით რომ აქილიკვებს.

საკითხავი მხოლოდ ეს არის, რა ეშველება კაცს 77
წლის ასაკშიც ასე რომ წერს:

„გადმომიხტა კრავი,
გამიმართა კრივი“

ასე წერს და გალაკტიონს ეტოლება(?) ...

ეს ის შემთხვევაა, როცა სანუგეშოს ვერაფერს იტყვი.
P.S. ვერ გავარკვიე, უხსენებელმა პოეტმა „სარჩელი“
სად შეიტანა.

ამიტომ „შესაგებელსაც“ უმისამართოდ დავტოვე.

ეკა ჭკადუა

ალუბლის ხე

ალუბლის ხეზე ვზივარ, ოღონდ ტყემლის კურკებს კი არ ვისვრი, ისევე ალუბლისას და საერთოდ, აზრზე ვარ (ასე მგონია) ყველაფრის...

ახლა ჩემი საფეხქალი (მოზარდი ვარ) კუჭის ამოვსებაა გემრიელი ნაყოფით, მაგრამ კურკებს რა ვუყო?... მოვიფიქრე: წვნიანი რბილობი მხოლოდ ჩემთვის მემეტება, კურკა გამწვანებისთვის. თან ეს საწყალი ხეც (საწყალი ჩემს ხელში, თორემ ისე რა უჭირს) ახალგაზრდაა, ტოტები ნორჩი აქვს, მაგრამ არც მე ვარ დინოზავრი, რომ ვერ გამოიძღოს. თან უსაშველოდ გრძელი ხელ-ფეხი მაქვს (ობობას მეძახიან). სიბნელეშიც კი, ხის „საყრდენზე“ მოკალათებული, თითქმის კენწეროს ვწვდები და ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხქალი ჩემს კუჭში ხვდება...

— უკ, გაძღა მუცელი...
მეზობლის გოგომ (არტემიდე ჰქვია, ჩვენ ტასოს ვეძახით. ზაფხულობით მომწონს თუ მოვწონვარ ხოლმე) გამოიარა და მეც არ დავბნეულვარ. აბა, უფროსებს როგორ გავუბნებდი და მასზე კი მივიტანე იერიში. კურკებს ვუმიზნებ თეთრ მოკლე კაბაზე. შემამჩნია და პასუხიც არ დააყოვნა.

— იდიოტო! — მითხრა უფროსებს ჩამორჩენილმა და სიბნელეში (მთვარე ანათებდა მხოლოდ) მისი ზღვისფერი თვალების მზერამ სასიამოვნო ჟრუნტელი მომგვარა.

რა თქმა უნდა, მე „იდიოტი“ ვარ (როგორც ყველა ქალაქელი ბიჭი), მაგრამ მიმჩნია, რომ არც ეს სოფელი გოგო ჩამორჩება „იდიოტიზმში“. უკვე მკერდგამობზეკილი და ვნებაშლილი ისეთ მზერას მჩუქნის (დილაა თუ ბინდია) ჭკუაზე არ ვარ. ლამის ხიდან ჩამოვვარდები... ღობეზე ამოძვრა და მე ჩემი „საორტული ამბიციონი“ უკან ნაღება მომიხდა. რამდენიმე წამში უკვე ჩემს გვერდით არის. ალუბლის ხის ტოტები კი სულს ლაფავენ. ხე გვეცოდება, მაგრამ, როგორც ჩანს, მუცელი უფრო ძვირფასია ჩვენითვის. ვივსებთ სტომაქს გემრიელი ნაყოფით. თან ეს დალოცვილი, ხეზე იმდენია, ფოთლები ძლივს ჩანს. ტასოს თეთრი კაბა კი სულ რამდენიმე წუთში თითქმის მთლიანად ალუბლისფერი ხდება. გული მწყდება. ვიცოცხლე, წვენი ამოვლევ, ვეღარ გადაარჩენენ. ეკ, არა და... ეს კაბა ხომ ყველაზე ძალიან უხდება... აღარც მათეთრებელი უშველის ამას — ვფიქრობ, მაგრამ რა შუაშია ჩემი ფიქრი, როცა კაბის პატრონი სრულებით არ განიცდის ამას. მეც ხელს ვიქნევ უდარდელად. შემდეგ ბეჯითად ვარჩევ ალუბლის მსხვილ მარცვალს, კბილებით ვსრებს და სიბნელის მიუხედავად, მის კაბაზე დარჩენილ თეთრ ადგილს ვეძებ. ვიპოვე. ვნერვითად ვიჭყვას — მიყვარხარ...

ეს ჩემი პირველი წერილია. ალბათ ისეთივე ორიგინალური, როგორსაც ამ კაბის პატრონი იმსახურებს...

— რას აკეთებ? — ისევ ანათებს მისი თვალები.
— ხვალ ნახავ! — ვპასუხობ ჩახრინული ხმით.

უცებ წამოიყვირა: — ვაი, ვაიო!... ხიდან ჩამოხტა, თეთრი კაბის კალთა აინია, თეთრი ტრუსები ჩაინია და ჩემს საყვარელ ალუბლის ხეს მიაფხა... გაოგნებული მივჩერებოდი ტუტეზე გოგოს. ჩხრიალის ხმა მესმოდა და ისიც უნდა ვთქვა, რომ იმ წამს ანკარა ნაკადული გამახსენდა. — ღმერთო, რა სიგიჟეა! მაგარია! — მე ხომ ვერასდროს შევძლებდი ასე მოქცევას... ის კი სულ მალე გაუჩინარდა. მე კი... მე რა... მერე მეც ჩამოვხტი ხიდან, მივლასლასდი (ალუბლით გამძღარი) ერთადერთი ნათურით განათებულ ჩვენი სოფლის ნისქე-ილთან (ქუჩის ბოლოშია) და უზურგო გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. სულ მალე ჩემს გვერდით გაჩნდა. შავგვრემანი, ზღვისფერთვალე ტასო უკვე შემომცქერის თავისი დიდრონი თვალებით. რალაც სისუ-

ლევებს ყვება. გადის კიდევ ორი წუთი და მის მუხლზე შემთხვევით თუ წინასწარ განზრახულად მიხვდება ხელი. ის კი ვარსკვლავებს ითვისებს ცაზე... ჰმ! გამოიყვანა წყაროდან „გოგო“ ქალაქელი პატარა ბიჭი და ისევე სახლისკენ გარბის — ვითომც აქ არაფერი...

ვიბოლმები, მთელი ღამე არ მიძინავს. დილით ბებიჩემის სულით და გულით მომზადებული საუზმეც კი არ მომწონს. ყველაფერზე გაღიზიანებული ვარ. მერე?.. მერე ყველაფერი კარგადაა. გამოივლის ჩვენს სახლთან ნადირობის ქალღმერთი არტემიდე თანატოლ, გაკურჭილ, დაბნეულ სოფლებთან ერთად. ღამით მე-საღამოებთან. ინდაურებს და ბატებს ვამსგავსებ ყველას. თუმცა, ტასოს ბატის არაფერი ეტყობა. ისეთია, ისეთი, რომ... უკუკუკუ... მე, რა თქმა უნდა, ამ წუთს ველოდები (ამ დროს დაახლოებით დილის 10-11 საათია). ვტოვებ საუზმეს, ფართედ ვაღებ (თვითონაც არ ელოდებიან მაინც) — ამინც (დაპატიჟებას) ჭიშკარს და იწყება „თავდავიწყება“: წუნაობა, გოგონების „რეზინობა“, „წრეში ბურთი“, ფეხბურთი, „პაროლობა“, „ორდროშობა“, „მიწის პიკატი“. ეზო, იცოცხლე, იმხელა გვაქვს, ცხენი გაჭენდება. საღამოს ჯოკერი (ახალი ნასწავლი მაქვს), უფრო მოგვიანებით კი ცრუმორწმუნე ბებიჩემი წყალნარევი თურქული ყავით გვიმასპინძლებდა და მკითხაობას იწყებს.

— შენ ხუთიანი ამოგივიდა. — ამბობს ღამილიანი სახით.
უკვე ვიცით — ხუთიანი სურვილების ასრულებას ნიშნავს.
— ვაა, ბე, რა მაგარია! — ვამბობ და ტასოსკენ გამიბრბის მზერა.

ტასო ოდნავ წითლდება და ჩვენს ნაგულსხმებას, დარწმუნებული ვარ, ბებიჩემიც კარგად ხვდება.
ბებიჩემი ისევ განაგრძობს:
— „ტ“ ასო ამოგივიდა. მისგან ელოდე სიხარულს...
მე სიხარულს აღარ ველოდები, იმიტომ რომ უკვე მიხარია...
მალე თორმეტი საათის მოსვლას მოგვახარებს „კუკუკუკა“.
„დაშლის“ დროა.
სვალნიდელი დღის გეგმებზე საუბარი მთავრდება და მერე ყველანი სახლებში მიდიან...

გვიან, უფრო გვიან კი (აქ არავინ მაძალღებს ადრე დაწოლას, დილით ადრე ადგომას და ვაკეითლების გადამეორებას) ჩემს საყვარელ ალუბლის ხეზე ვარ შემოსკუპებული და ისევე ველოდები ალქაჯ ფერიას...

დიდი დრო გავიდა...
საქმის გამო მომიხდა აქ ჩამოსვლა. ძლივს მოვახერხე. უკვე დიდი ხანია „დაკარგული ტერიტორია“ ჰქვია ამ ადგილს. ვიცოდი, თანატოლები იქ აღარავინ დამხვდებოდა — ზოგი სად წავიდა, ზოგი — სად. ზოგმაც სამწუხაროდ ისეთი ადგილი „აირჩია“, საიდანაც ველარასდროს დაბრუნდებოდა. მხოლოდ კანტი-კუნტად ცხოვრობდნენ საკუთარი მინა-წყლის ვერდამთობი და მასზე უზომოდ შეყვარებული მოხუცები, მაგრამ მათ შორის უკვე აღარ იყო ჩემი ბებია...

ჩემს ეზოს ვუახლოვდები. გავერანებულა. ლამაზ ხეებსა და ბურქებს გვერდს სარეველები ამოსდგომია. ღობე ალაგ-ალაგ ჩამოშლილია. რატომღაც დაპატარავებული მტევნებია იქაურობა. ახლა ცხენი კი არა, პონი თუ იჯერებდა გულს თოხანიკით. თვალზე დავხუჭე და... ეკ, რა სწრაფად გაიბრბინა ბავშვობამ... უდარდელმა ბავშვობამ...

ფიქრებში გართულს თავში რალაც პატარა, მყარი საგანი მომხვდა. დავიბენი. ეზოს მიმოვავლე თვალი და... ღმერთო, ალუბლის ხე... ისევ ის ალუბალი, ახლა უკვე თითქმის ალვის ხეს დამგვანებული, ნელში გამართული და ძველებურად დახუნძლილი... და თეთრი კაბა... ვიღაც პატარა, ველური გოგონა გემრიელად ილუქმება მნიშვნელოვან, კურკებს ქუჩისკენ ისვრის და შავ, ბრიალა თვალებს ემ-მაკურად აცეცებს. ჩემს დანახვაზე შეც-

ბრუნდება და ალუბლის ხეზე ვზივარ, ოღონდ ტყემლის კურკებს კი არ ვისვრი, ისევე ალუბლისას და საერთოდ, აზრზე ვარ (ასე მგონია) ყველაფრის...

ახლა ჩემი საფეხქალი (მოზარდი ვარ) კუჭის ამოვსებაა გემრიელი ნაყოფით, მაგრამ კურკებს რა ვუყო?... მოვიფიქრე: წვნიანი რბილობი მხოლოდ ჩემთვის მემეტება, კურკა გამწვანებისთვის. თან ეს საწყალი ხეც (საწყალი ჩემს ხელში, თორემ ისე რა უჭირს) ახალგაზრდაა, ტოტები ნორჩი აქვს, მაგრამ არც მე ვარ დინოზავრი, რომ ვერ გამოიძღოს. თან უსაშველოდ გრძელი ხელ-ფეხი მაქვს (ობობას მეძახიან). სიბნელეშიც კი, ხის „საყრდენზე“ მოკალათებული, თითქმის კენწეროს ვწვდები და ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხქალი ჩემს კუჭში ხვდება...

— უკ, გაძღა მუცელი...
მეზობლის გოგომ (არტემიდე ჰქვია, ჩვენ ტასოს ვეძახით. ზაფხულობით მომწონს თუ მოვწონვარ ხოლმე) გამოიარა და მეც არ დავბნეულვარ. აბა, უფროსებს როგორ გავუბნებდი და მასზე კი მივიტანე იერიში. კურკებს ვუმიზნებ თეთრ მოკლე კაბაზე. შემამჩნია და პასუხიც არ დააყოვნა.

— იდიოტო! — მითხრა უფროსებს ჩამორჩენილმა და სიბნელეში (მთვარე ანათებდა მხოლოდ) მისი ზღვისფერი თვალების მზერამ სასიამოვნო ჟრუნტელი მომგვარა.

რა თქმა უნდა, მე „იდიოტი“ ვარ (როგორც ყველა ქალაქელი ბიჭი), მაგრამ მიმჩნია, რომ არც ეს სოფელი გოგო ჩამორჩება „იდიოტიზმში“. უკვე მკერდგამობზეკილი და ვნებაშლილი ისეთ მზერას მჩუქნის (დილაა თუ ბინდია) ჭკუაზე არ ვარ. ლამის ხიდან ჩამოვვარდები... ღობეზე ამოძვრა და მე ჩემი „საორტული ამბიციონი“ უკან ნაღება მომიხდა. რამდენიმე წამში უკვე ჩემს გვერდით არის. ალუბლის ხის ტოტები კი სულს ლაფავენ. ხე გვეცოდება, მაგრამ, როგორც ჩანს, მუცელი უფრო ძვირფასია ჩვენითვის. ვივსებთ სტომაქს გემრიელი ნაყოფით. თან ეს დალოცვილი, ხეზე იმდენია, ფოთლები ძლივს ჩანს. ტასოს თეთრი კაბა კი სულ რამდენიმე წუთში თითქმის მთლიანად ალუბლისფერი ხდება. გული მწყდება. ვიცოცხლე, წვენი ამოვლევ, ვეღარ გადაარჩენენ. ეკ, არა და... ეს კაბა ხომ ყველაზე ძალიან უხდება... აღარც მათეთრებელი უშველის ამას — ვფიქრობ, მაგრამ რა შუაშია ჩემი ფიქრი, როცა კაბის პატრონი სრულებით არ განიცდის ამას. მეც ხელს ვიქნევ უდარდელად. შემდეგ ბეჯითად ვარჩევ ალუბლის მსხვილ მარცვალს, კბილებით ვსრებს და სიბნელის მიუხედავად, მის კაბაზე დარჩენილ თეთრ ადგილს ვეძებ. ვიპოვე. ვნერვითად ვიჭყვას — მიყვარხარ...

ეს ჩემი პირველი წერილია. ალბათ ისეთივე ორიგინალური, როგორსაც ამ კაბის პატრონი იმსახურებს...

— რას აკეთებ? — ისევ ანათებს მისი თვალები.
— ხვალ ნახავ! — ვპასუხობ ჩახრინული ხმით.

უცებ წამოიყვირა: — ვაი, ვაიო!... ხიდან ჩამოხტა, თეთრი კაბის კალთა აინია, თეთრი ტრუსები ჩაინია და ჩემს საყვარელ ალუბლის ხეს მიაფხა... გაოგნებული მივჩერებოდი ტუტეზე გოგოს. ჩხრიალის ხმა მესმოდა და ისიც უნდა ვთქვა, რომ იმ წამს ანკარა ნაკადული გამახსენდა. — ღმერთო, რა სიგიჟეა! მაგარია! — მე ხომ ვერასდროს შევძლებდი ასე მოქცევას... ის კი სულ მალე გაუჩინარდა. მე კი... მე რა... მერე მეც ჩამოვხტი ხიდან, მივლასლასდი (ალუბლით გამძღარი) ერთადერთი ნათურით განათებულ ჩვენი სოფლის ნისქე-ილთან (ქუჩის ბოლოშია) და უზურგო გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. სულ მალე ჩემს გვერდით გაჩნდა. შავგვრემანი, ზღვისფერთვალე ტასო უკვე შემომცქერის თავისი დიდრონი თვალებით. რალაც სისუ-

ლევებს ყვება. გადის კიდევ ორი წუთი და მის მუხლზე შემთხვევით თუ წინასწარ განზრახულად მიხვდება ხელი. ის კი ვარსკვლავებს ითვისებს ცაზე... ჰმ! გამოიყვანა წყაროდან „გოგო“ ქალაქელი პატარა ბიჭი და ისევე სახლისკენ გარბის — ვითომც აქ არაფერი...

ვიბოლმები, მთელი ღამე არ მიძინავს. დილით ბებიჩემის სულით და გულით მომზადებული საუზმეც კი არ მომწონს. ყველაფერზე გაღიზიანებული ვარ. მერე?.. მერე ყველაფერი კარგადაა. გამოივლის ჩვენს სახლთან ნადირობის ქალღმერთი არტემიდე თანატოლ, გაკურჭილ, დაბნეულ სოფლებთან ერთად. ღამით მე-საღამოებთან. ინდაურებს და ბატებს ვამსგავსებ ყველას. თუმცა, ტასოს ბატის არაფერი ეტყობა. ისეთია, ისეთი, რომ... უკუკუკუ... მე, რა თქმა უნდა, ამ წუთს ველოდები (ამ დროს დაახლოებით დილის 10-11 საათია). ვტოვებ საუზმეს, ფართედ ვაღებ (თვითონაც არ ელოდებიან მაინც) — ამინც (დაპატიჟებას) ჭიშკარს და იწყება „თავდავიწყება“: წუნაობა, გოგონების „რეზინობა“, „წრეში ბურთი“, ფეხბურთი, „პაროლობა“, „ორდროშობა“, „მიწის პიკატი“. ეზო, იცოცხლე, იმხელა გვაქვს, ცხენი გაჭენდება. საღამოს ჯოკერი (ახალი ნასწავლი მაქვს), უფრო მოგვიანებით კი ცრუმორწმუნე ბებიჩემი წყალნარევი თურქული ყავით გვიმასპინძლებდა და მკითხაობას იწყებს.

— შენ ხუთიანი ამოგივიდა. — ამბობს ღამილიანი სახით.
უკვე ვიცით — ხუთიანი სურვილების ასრულებას ნიშნავს.
— ვაა, ბე, რა მაგარია! — ვამბობ და ტასოსკენ გამიბრბის მზერა.

ტასო ოდნავ წითლდება და ჩვენს ნაგულსხმებას, დარწმუნებული ვარ, ბებიჩემიც კარგად ხვდება.
ბებიჩემი ისევ განაგრძობს:
— „ტ“ ასო ამოგივიდა. მისგან ელოდე სიხარულს...
მე სიხარულს აღარ ველოდები, იმიტომ რომ უკვე მიხარია...
მალე თორმეტი საათის მოსვლას მოგვახარებს „კუკუკუკა“.
„დაშლის“ დროა.
სვალნიდელი დღის გეგმებზე საუბარი მთავრდება და მერე ყველანი სახლებში მიდიან...

გვიან, უფრო გვიან კი (აქ არავინ მაძალღებს ადრე დაწოლას, დილით ადრე ადგომას და ვაკეითლების გადამეორებას) ჩემს საყვარელ ალუბლის ხეზე ვარ შემოსკუპებული და ისევე ველოდები ალქაჯ ფერიას...

დიდი დრო გავიდა...
საქმის გამო მომიხდა აქ ჩამოსვლა. ძლივს მოვახერხე. უკვე დიდი ხანია „დაკარგული ტერიტორია“ ჰქვია ამ ადგილს. ვიცოდი, თანატოლები იქ აღარავინ დამხვდებოდა — ზოგი სად წავიდა, ზოგი — სად. ზოგმაც სამწუხაროდ ისეთი ადგილი „აირჩია“, საიდანაც ველარასდროს დაბრუნდებოდა. მხოლოდ კანტი-კუნტად ცხოვრობდნენ საკუთარი მინა-წყლის ვერდამთობი და მასზე უზომოდ შეყვარებული მოხუცები, მაგრამ მათ შორის უკვე აღარ იყო ჩემი ბებია...

ჩემს ეზოს ვუახლოვდები. გავერანებულა. ლამაზ ხეებსა და ბურქებს გვერდს სარეველები ამოსდგომია. ღობე ალაგ-ალაგ ჩამოშლილია. რატომღაც დაპატარავებული მტევნებია იქაურობა. ახლა ცხენი კი არა, პონი თუ იჯერებდა გულს თოხანიკით. თვალზე დავხუჭე და... ეკ, რა სწრაფად გაიბრბინა ბავშვობამ... უდარდელმა ბავშვობამ...

ფიქრებში გართულს თავში რალაც პატარა, მყარი საგანი მომხვდა. დავიბენი. ეზოს მიმოვავლე თვალი და... ღმერთო, ალუბლის ხე... ისევ ის ალუბალი, ახლა უკვე თითქმის ალვის ხეს დამგვანებული, ნელში გამართული და ძველებურად დახუნძლილი... და თეთრი კაბა... ვიღაც პატარა, ველური გოგონა გემრიელად ილუქმება მნიშვნელოვან, კურკებს ქუჩისკენ ისვრის და შავ, ბრიალა თვალებს ემ-მაკურად აცეცებს. ჩემს დანახვაზე შეც-

ბრუნდება და ალუბლის ხეზე ვზივარ, ოღონდ ტყემლის კურკებს კი არ ვისვრი, ისევე ალუბლისას და საერთოდ, აზრზე ვარ (ასე მგონია) ყველაფრის...

კაცი ხელჯოხზე დაყრდნობილი იჯდა და ხეცას გაჰყურებდა.

ეს ხომ ტასოს ბაბუაა... ტასოს ცოცხალი ბაბუა... ახლოს მივედი და გავუღიმიე, იქნებ მიცნოს-მეთქი. რას მიცნობდა. 20 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ... უკმეხად შემომიბღვირა, ამათვალეო-ჩამათვალეო და რუსულად მკითხა:

— რა გნებავთ?
გამშრალი პირი ნერწყვით დავისველე და ქართულად გამოვეცნაურე. ეს ხანდაზმული კაცი ბავშვით შეცბა. მცირე ხანს ისევე ეჭვით შემომყურებდა, შემდეგ თავი დაიქნია, თითქოს რალაცამი დარწმუნდა, და ახლა უკვე ქართულად მითხრა:

— კი, შენ ხარ, ნამდვილად შენა ხარ. მოდი, ჩაგეხუტო, გენაცვალე. აქ რამ გადმოგადგო? — ცრემლები ჩამოუგორდა დამჭკნარ სახეზე.

ბოლოს გაიღიმა და თეთრი კბილების ჯარმა გამოანათა. გამიკვირდა. ამ გავერანებულ, სხვისგან დაპყრობილ და ჩვენგან მიტოვებულ მინაზე ასეთი ხანდაზმულის, ასეთი ელვარე თეთრი კბილები?..
გაკვირვება შემამჩნია.

— როგორ, ეგ ამბავი შენ როგორ არ იცი... — გამიღიმა ისევ.
რა თქმა უნდა, ისევე ტასო გამოდგა ამ საიდუმლოს თავი...
— მოიცა, ამბავი მოიცდის, აქ დამელოდე, ხუთ წუთში გავჩნდები. ქალაქელ კაცს რომ გეკადრება, ისეთი ჭკა მაქვს, ხელსაც გამოვყოფ რამეს, — მითხრა. ვიუარე...

არა, ერასტი ბაბუ, მაგვიანდება, გამთენიისას ვერტმფრენით ისევე უკან უნდა დავბრუნდებ-მეთქი.
გათვინებამდე დიდი დროა, ნუ შიშობ, ყველაფერი რიგზე იქნება, — მიპასუხა.

რალას ვიზამდი, დავრჩი...
ერასტი ბაბუ პატარა ფუთით ხელში მართლაც ხუთ წუთში გამოჩნდა. ძველ გაზეთზე ყველი, შური, კიტრი, ბოთლით ჭაჭა და არყის ორი ჭიქაც დადგა.

— წყალი? — ვკითხე უკვე გამინაურებულმა.
— ამ ჭაჭას წყალი რად უნდა, ბიჭო, გაფუჭდება. მაგრამ რადგან არ იშლი, მაგაზე გულს როგორ დაგნევეტ, — მითხრა.

ქუჩა გადაჭრა და სულ მალე უკვე ჩამოთლილი შუშის ჭიქით და დანამული დოქით ხელში გამოჩნდა. დავენავე ანკარა წყალს. ღმერთო, რა გემო აქვს დალოცვილს-მეთქი, აღმომხდა... მახსოვს ბავშვობაში, ქალაქში დაბრუნებული ონკანის წყალს ვერ ვსვამდი დიდხანს...

გავისხენეთ ძველი დრო... მოვეფრეთ ერთმანეთს და „ამბავის“ დროც დადგა...
— ალბათ 2-3 წლის იქნებოდა, როცა კისერზე შემოვივსი და ტყემლი ნავიყვანე. ბევრი იტლიკინა გზაში, გლეხები მიწვეა ყველა ველურ ხილს და ჭამად იქცა ეს პატარა ღორმუცელა. მერე — ვაი, ვაიო, — ერთი წამოიყვირა, და აზრზე მოსვლა ვერ მოვასწარა, როცა კისერზე თბილმა სითხემ დამიარა. რა ქენი, ბაბუ ეს თქო (კისერში ჩამაფხა, მაიმუნმა!) ბევრი იცინა და ბოლოს სერიოზულად, დიდი ქალივით მომიგო — რა იყო ბაბუ, მერე რა მოხდა — ვიცო, მაგრამ მოგიხდებაო. უჰ! იცოცხლე, გატყეპვა მომიხდა ძალიან. თავი ძლივს შევიკავე... ერთი კვირა არც იყო გასული და... იმ ადგილას, სადაც კბილი უკვე დიდი ხნის ჩამარებული ჰყავდა პატრონს, ახალი ამომივიდა. გადავირიე კაცი. ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია მსგავსი. არავისთვის მითქვამს დიდი ხნის მამიძლზე არაფერი... მერე უკვე როცა ჩემი ტასო 5-6 წლის გახდა და პირველი კბილი მოერყა, გამომიცხდა — სანამ შენ არ ამოიღებ ამ ჭიან კბილს, მეც არ ამოვიღებ ჩემსასო. რა უნდა მექნა. მივაბით კარის მარჯვენა და მარცხენა სახელურს ძაფი, ძაფის მეორე მხარე ჩვენს კბილებს და... მერე ტასომ ამოღებული კბილები სახურავზე ააგდო. ჩვენ თავს მივცემთ ჩვენ ჭიან კბილებს და ის თავის ახალს მოგვცემსო... ასე ხდებოდა ნელა... რამდენჯერაც ამოვიღე კბილი, იმდენჯერ ახლით დამასაჩუქრა ღმერთმა... ეკ... ეს რა მოსატანია... შენზე მომიყვი რამე! — მითხრა ბოლოს.

რა უნდა მეთქვა. ჩავიძირე მოგონებების მორევეში და ჭაჭამაც იავნანასავით თავისი ჰქნა!..

ვერტმფრენი ალბათ უკვე გველოდებოდა დაქსაქსულ „საქმონებს“...
მაგრამ მე, თითქმის გათენებულზე, ჩვენი ეზოს ალუბლის ხეზე ვზივარ და ვიცო, ვერტმფრენმა თუ გამასწრო და უჩემოდ გაფრინდა, დიდად არ ვინაღვლებ. ხის ტოტზე ნებიერად მოკალათებული ისევე მივირთმევ წვნიან, გემრიელ ნაყოფს, მაგრამ... ნელა გავიდა და... ეკ!.. უნდა ვალიარო... ალუბლის ხეზე კი ვზივარ, მაგრამ ტყემლის კურკებს ვისვრი და მგონი, მართლა არაფრის აზრზე არ ვარ...

დავიუბი

თორნიკე ჭუმბურიძე



ინგლისური ფრაზები მოხმობილია გორან ბრეგოვიჩის This Is A Film-იდან, რომელსაც ავტორმა, ამ მოთხრობის დასაწყისად, თუ მისი მეგობრის „I-pod“-ი არ ტყუის, 57-ჯერ მოუსმინა ზედზედ. ამიტომაც უმორჩილესად ვთხოვთ, თუ საშუალება გექნებათ, მისი ნაჯახი იყოს ამ სიმღერის აკომპანიმენტით ნაკითხობთ.

THE FISH¹ კუძღენი სანდროს, მერე რა, რომ გვიანია

უემოციო, დალოლი ჩავსვენა სავარძელში, გაუკიდა (This is a film about the man and a fish).² გოგოსი იყო, „Stim“-ი. ნაფაზმა, მენტოლის გულისამრევ არომატთან ერთად, საკუთარი თავისა და ყოველივე გარემომცველის არარაობის ნაცნობი შეგრძნება მოიტანა. დახედა (This is a film about dramatic relationship between man and fish).³ მიზნისკენ გზა, ანუ ბედნიერება, მიზანი, ანუ არარაობა, მერე ახალი, ყოველ ჯერზე უფრო უფერული და მარტივი (The man stands between life and death).⁴ ისე, ამას არა უშავსო, გაიფიქრა. კიდევ დახედა, დაფიქრებია და დაცქერდა. მეექვსია. ჩაცმულობა მოსწონდა მისი, უნიჭო ცინიზმიც ართობდა (The man thinks).⁵ გოგომ მზერა იგრძნო. გადმოტრიალდა. ცალ მხარზე წამოწვა. სიგარეტიანი ხელი ჩამოუსვა შუბლზე, დაბერილ ტუჩებზე, პატარა მკერდზე. მაგრამ მოქაჩა და ნელა, თითქოს ნაზად, გაბმულად შეაბოლა. თმები აუშრიალა. თვალებში ჩახედა. წამით მოეჩვენა, რომ... გაიყვარვარ? — იკითხა გოგომ (The horse thinks, the sheep thinks).⁶ გაეღიმა, გაეცალა. სამზარეულოს მაგიდაზე მისი სიგარეტი და ვისკი იდო, ორივე ნახევრად ცარიელი. მოყლუჟა. ჩაფიქრდა. ნუთუ? (The cow thinks, the dog thinks).⁷ უფრო დაილალა. მუსიკა ჩართო. ჩამოჯდა (The fish does not think).⁸ არ დასცალდა მოსმენა, მუსიკა განსხეულდა, უფერო ბურუსად იქცა, მშვიდად დაიდრა, მიაღწია მაგიდის ბოლოს, კოლოფს, ბოთლს, ფრჩხილებს. თითებს გაყოლილმა მთლიანად შთანთქა, მის უკანაც წავიდა, ოთახის ბოლოსთან შეჩერდა, შეიკუმშა, იტრიალა, დიდხანს, მონდომებით. მორევად იქცა და გაქრა. და გააქრო დროც. ნირვანა, არარსებობა იყო მხოლოდ გონი და არ იყო მატერიალ. ამიტომაც გონმა აღიქვა თავი თვისი, შეიყვარა და ტკბებოდა მისით. მაგრამ, რადგან აღქმულ იქნა, გონი გამოეყო გონს, იქცა მატერიალ და შექმნა დრო (The fish is mute, expressionless).⁹

აივანზე გავიდა. თენებოდა. ქვემოთ კაცი ქალს უღრიალებდა. ცოლი იყო, ეტყობოდა. შეაგინა, სამჯერ გაარტყა, გემრიელად.

ძალიან ლოგიკური იყო ეს. პასუხი ყველაფერზე. გაგრძელებასაც მიხვდა. მიხვდა და ახარხარდა, ალტაცებული. მალე სიცოცხლე განსხეულდა, დატრიალდა, გაქრა და გააქრო. გონი ისევე მარტო დარჩა (The fish does not think because the fish knows everything).¹⁰

გაუკიდა, მოაჯირზე აძვრა, მხრები გაშალა და გადაეშვა.
„სამოცდათხუთმეტი, ზუსტად სამოცდათხუთმეტი წელიწადი ელოდა პოლონევიკი ამ წამს და უძლეველად იგრძნო თავი, როცა გარკვევით უპასუხა: განავალი.“¹¹ (ლილინი).

¹ თევზი.
² ეს არის ფ

დაპიუტი

მე ერთი უბრალო 17 წლის ბიჭი ვარ. თუმცა, როგორც ყველას, მეც მაქვს ისეთი ჩვევები, რომლებსაც არავის ვუხმებ...

სახელი — ლიზი. გვარი — ჯერ არ მომიფიქრებია. პროფესია — თსუ სტუდენტი, მომავალი მარკეტოლოგი.

ინტერესის სფერო — ლიტერატურა, „თანაც მხოლოდ მხატვრული“.

მოკლე დოსიე თავისთავად შედგა ჩემს ტინში (სამწუხაროდ, მე, როგორც ყველა, მხოლოდ მის 2-3 პროცენტს ვიყენებ) და დადგა ის მომენტი, როდესაც ქუჩაში იდიოტებით ვმეძღები და გარშემო ვერაფერს ვამჩნევ ანუ ჩემს ტინში ინერგება ისტორია, რომელიც არც არასოდეს მომხდარა, არც მოხდება და საერთოდაც, ყოველად შეუძლებელია, მოხდეს.

ასე რომ, დავინწყით: ლიზი შეძლებული და ჩვენს ქალაქში საკმაოდ ცნობილი ოჯახიდან იყო. როგორც ქართველებს გეჩვენებია, ამის გამო ყველა ეპირფერებოდა — ლექტორებიდან დანწყებული, თანაკურსელებიდან დამთავრებულნი. მის ადგილას ბევრი ამას ბოროტად გამოიყენებდა, მაგრამ ლიზი ყველანაირად ცდილობდა, არ ყოფილიყო სხვებისგან გამორჩეული ქონების ან მისი ოჯახის გავლენის გამო. ის კი არა, ჩვენმა ლიზიმ მინისტრ მამას უარი განუცხადა ყოველგვარი დახმარების მიღებაზე და მტკიცედ უთხრა:

— მამა, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ არ მინდა, სხვა განებებიერებულ გოგონებს დავემსგავსო, რომლებსაც თავისთავად არაფრის კეთება არ შეუძლიათ. მინდა, ყველაფერს ჩემით მივაღწიო.

აი, ასე აღმოჩნდა ლიზი თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული ბარის მფლობელთან გასაუბრებაზე.

— გამარჯობა, ლიზი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემთან მოხვედით სამუშაოს თაობაზე. სწორედ ახლა გათავისუფლდა მენეჯერის თანამდებობა და ამ ვაკანსიის დასაკავებლად კარგ კანდიდატურას ვეძებდი (მდივანმა გაკვირვებული სახით შეხედა უფროსს, თუმცა ყველაფერს მიხვდა და გაჩუმდა). როგორც მამათქვენისგან ვიცის, სწორედ ამ განხრით სწავლობთ, მართალი ვარ? თუ ასეა, თქვენზე უკეთეს ვის ვიპოვი? (ბარის მფლობელმა სამსახურის დასაწყისზე ხელი მოისვა და ეცადა, ჭკვიანური სახე მიეღო, თუმცა არ გამოუვიდა და იმაზე სულელს დაემსგავსა, ვიდრე სინამდვილეში იყო).

— არა, ბატონო გოგი, იცით... ძალიან მადლიერი ვარ, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ! დადამწყვეტილია! არ იფიქროთ, რომ ამას ჩემი და მამათქვენის მეგობრობის (!) გამო ვამბობდე, თქვენზე უკეთესს ვერავის ვიპოვი!

— არა, ბატონო გოგი, მომისმინეთ: მე უბრალო მიმტანობი მირჩევნია დავინწყო. მერე ვნახოთ, როგორ გავართმევ თავს. იქნებ, მენეჯერობაც დავიმსახურო. თანაც, თქვენი ბარის ჯერ კიდევ მოქმედი მენეჯერი ჩემი კარგი ნაცნობია და არ მინდა, ჩემს გამო სამუშაოს გარეშე დარჩეს (ბატონი გოგის სქელ სახეს წითელმა ფერმა გადაუარა, აშკარად შერცხვია იმის გამო, რომ პირფერობას მიუხვდნენ).

— კარგი, რახან ასე გნებავთ...

— „თ“ არ იყო საჭირო...

— ვერ გავიგე?..

— არაფერი. ჩემთვის ვთქვი რაღაც ანუ, მომცემთ უფლებას, მიმტანობა ვცადო?

— რა თქმა უნდა! გოგონები ავიხსნიან, რა როგორ ხდება. ქვემოთ ჩაბრძანდით.

ლიზი სხვა მიმტან გოგონებს ადვილად დაუემგობრდა. მოსწონდა მათთან ურთიერთობა, რადგან გოგონებს მისგან არაფერი სჭირდებოდათ მეგობრობის გარდა. მათ ხომ არ იცოდნენ, ვინ იყო ლიზი, ვისი შვილი იყო ან რა თანხა იღო ბანკში მის ანგარიშზე. ლიზის უფრო და უფრო მოსწონდა დამოუკიდებელი ცხოვრება. მინისტრი მამა კი უფრო და უფრო ლიზიანდებოდა, რომ მისი შვილი უბრალო მიმტანად მუშაობდა რომელიღაც ბარში. ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, სანამ ბარში არ შევიდა ბიჭი, რომელიც ლიზის



თავიდანვე არ მოეწონა. ის ბიჭი კი მაინც და მაინც იმ მაგიდასთან დაჯდა, რომელსაც ლიზი ემსახურებოდა.

— გამარჯობა. რას მიირთმევთ?

— გამარჯობა. მენიუ შეიძლება?

— რა თქმა უნდა, — ლიზიმ მიაწოდა მენიუ და დახლისკენ წავიდა.

რამდენიმე წუთში ბიჭმა ლიზის დაუძახა.

— გისმენთ.

— ერთი კაფეა ლუდი და თხილი.

— ახლავე მოგართმევთ, — ლიზიმ გატრიალება დააპირა.

— და სახელი შეიძლება, გავიგო?

— მისულზე წერია და ისე ლიზი მქვია.

— და რატომ ასე სერიოზულად? — უცნაური ღიმილით ჰკითხა ბიჭმა.

— და შენ რატომ გადამწყვეტე, რომ მის სერიოზულობა ვარ? — ლიზიმ თავისდაუნებურად დაარღვია ზრდილობის ეტიკეტი და პირველმა თავად მიმართა შენობით.

— რა ვიცი. რაღაც ზედმეტად სერიოზულად მიპასუხე... ისე, მე ლუკა მქვია...

— სახელი გკითხე?

— აი, ისე სერიოზულად მპასუხობ.

— მგონი, გინდოდა გეთქვა, რომ აგრესიულად გპასუხობ, — ღიმილი ვერ შეიკავა ლიზიმ და აღმოაჩინა, რომ უეცრად ამ უცხო ადამიანთან ძალიან ახლობლად იგრძნო თავი, — აჯობებს, შენი ლუდი და თხილი მოგიტანო, თორემ შენს გამო სამსახურს დაგკარგავ.

— კარგი, რამ გავაბრაზა?! არ მინდა ლუდი, უბრალოდ, შენთან ლაპარაკის საბაბს ვეძებ. დაჯექი, დამელაპარაკე...

— უკაცრავად, მაგრამ თუ არაფერს უკვეთავთ, გთხოვთ, ბარი დატოვოთ! — გამკაცრდა ლიზი და კვლავ თქვენობით ფორმას დაუბრუნდა.

— კარგი. მაშინ მომიტანე რაც გთხოვთ და მერე დაჯექი.

ლიზიმ ლუდის ჩამოსხმა დაიწყო, თან ლუკასკენ გააპარა თვალი. თითქოს მოეწონა...

— ამდენ ხანს რატომ მალვოდინე? ლუდს ახლა ხარშავდე? კარგი, ვიხუმრე. დაჯექი რა...

— არ შემიძლია, გმუშაობ.

— არაა პრობლემა. გოგი მამაჩემის მეგობარია. არაფერს გეტყვიან.

— ეგ რა შუაშია?! უბრალოდ, გმუშაობ და არ შემიძლია.

— კარგი. მაშინ სამსახურის მერე გამოგივლი.

— არ ვიცი... არ გიცნობ და...

— ჰოდა, ამიტომ გეუბნები. შენც გამოიცნობ, მეც გაგიცნობ... რომელზე გამოგიარო?

ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ ლიზი დათანხმდა:

— აქ მოდი... რვაზე გამომიარე...

— კარგი... მაშინ ახლა წავალ, — ლუკამ მაგიდაზე ასლარიანი დადო და ადგა.

— მოიცა, ხურდა მოგცე.

— არა, ეგ ხურდა რვაზე მომეცი. სტრახოკაა, რომ არ გადაამადლო, — ლუკა სიცილით გავიდა ბარიდან.

ლიზი დაბნეულად დაჰყურებდა ასლარიან კუპიურას. მხოლოდ ერთს მიხვდა — მართლა მოეწონა ეს ბიჭი.

ცხრის ხუთ წუთზე ლიზი უკვე ლუკას მანქანაში იჯდა:

— სად მივდივართ?

— არსად.

— ეგ როგორ?

— როგორ და ასე — ვივლით ქალაქში. შენ მკითხავ ყველაფერს, რაც გაინტერესებს და მეც ასე მოვიქცევი. მაგრამ შენ თუ გირჩევნია, ამის მაგივრად შეგვიძლია, სადმე წავიდეთ — რესტორანში ან ბარში...

სოსო ყიფშიძე
მეოცნება

— არა. მომწონს. მაგარია!

— კარგი. მაშინ მკითხე, რაც გინდა.

— იმის გარდა, რომ ლუკა გქვია, არაფერი ვიცი... მოიცა, მოვიფიქრე, შენი საყვარელი პოეტი?

ლუკას აშკარად გაუკვირდა ეს კითხვა.

— და ამ კითხვით რატომ დაინწყე? გვარი ან რამე ეგეთი არა?

— და გვარს რა მნიშვნელობა აქვს? კიდევ

ბატონყმობაა?

— ვისთვის როგორ...

— აჯობებს, კითხვაზე მიპასუხო.

— რა გითხრა, ძნელია ერთის თქმა...

— კითხვას გაგიადვილებ — საყვარელი ქართველი პოეტი.

— ბევრია... გამორჩეულად, გალაკტიონი.

— და საყვარელი ლექსი?

— რთულ კითხვებს სვამ.

— კარგი. მაშინ ის ლექსი, რომლის ხასიათზეც ხარ ახლა.

— მოიცა... „ზედმა უცნობი გზით გამაქანა,

თქვენ დარჩით შორი... ცაზედაც შორი...“

— „...და როგორც კარტში აგურის ქალებს,

გქონდათ ქერა თმა და ყელი ბროლის“.

— შენც ზეპირად იცი?

— ჰო. მე შენგან გამიკვირდა... არ გავხარ ისეთ ბიჭს, რომელსაც პოეზია უყვარს.

— დავამთავრო?

— ჰო. მომწონა როგორც კითხულობ.

კარგად გამოგდის.

— „მე ვპირდებოდით, რომ დავბრუნდები,

რომ თქვენი თმები დამბრუნებენ, მაგრამ დღეები, როგორც ქურდები, ჩემს შეპირებას ანადგურებენ.

და სადმე ტყვია თუ გააცვივებს გულს საშინელი განადგურებით თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ, დანაშაული არდაბრუნების.“

— ბევრჯერ წამიკითხავს მირზას ეს ლექსი, მაგრამ ასე არასდროს მომწონებია. რატომ მოგწონს ეს ლექსი?

— მართლა არ ვიცი... ორივემ ვიცით, რომ ეს ლექსი არც ისეთი გენიალურია, როგორც გალაკტიონი, მასში არც ისეთი აზრი არ დევს — როგორც ვაჟასთანაა და არც ისეთი ტრაგიკულია, როგორც ტერენტი გრანელი. ალბათ, იმიტომ მომწონს, რომ უბრალოა და გულწრფელი...

— მომწონს შენი პასუხები, — ლიზის თითქოს შეუყვარდა კიდევ ლუკა. თანაც ეს ბიჭი ზუსტად ისე აზროვნებდა, როგორც ლიზი.

— მოდი, პროზაზე გადავიდეთ. შენი საყვარელი ქართველი მწერალი?

— ისევე ძნელი კითხვაა... ალბათ, გურამ დოჩანაშვილი?.. ჰო, ნამდვილად გურამ დოჩანაშვილი...

— და რომანი ან მოთხრობა?

— ნინა პასუხიდან გამომდინარე უნდა მიმხვდარიყავი... საყვარელი რომანი — „სამოსელი პირველი“, საყვარელი მოთხრობა — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

— ახლა გავგიჟდები... შენ რომ გეკითხა, მეც ზუსტად იგივეს ვიპასუხებდი...

— ჩემი აზრით, არ არსებობს ადამიანი, რომელიც გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებებს წაიკითხავს და მერე ეს მოთხრობები მისი ცხოვრების ნაწილად არ იქცევა...

— მეც ასე ფიქრობ... ლუკა, იცი?.. სასაცილოა... არაფერი...

— რა მითხარი?

— არაფერი. ყურადღებას ნუ მომაქცევ...

— არა, უბრალოდ, მეც მინდა რაღაცის თქმა და რომ გითხრა, შენც გაგეცინება...

— მითხარი და ვნახოთ...

— ოღონდ, არ დამცინო... მგონი, შემიყვარდი...

— მეც იგივე მინდოდა, მეთქვა... შენ რატომ არ მეკითხები არაფერს?

— არ არის საჭირო...

— ანუ არაფერი გაინტერესებს?

— არა. შენი კითხვებიდან გამომდინარე, ყველაფერი გასაგებია.

იმ დღის შემდეგ ლიზი და ლუკა სულ ერთად იყვნენ და რაზეც არ უნდა დაეწყეთ ლაპარაკი, მთავარი თემა მაინც ლიტერატურა იყო... აღმოჩნდა, რომ ორივე გიჟდებოდა სელინჯერის რომანზე „თამაში ჭვავის ყანაში“... ორივე ძილის წინ კითხულობდა ვაჟას პოემებს, ორივე უნებლიედ იხსენებდა გულში გალაკტიონის „მთანმდის მთვარეს“, თანაც დღეში რამდენჯერმე... ყველაფერი კარგად მიდიოდა... მაგრამ ერთხელაც ლუკა ბარში მოწყენილი სახით შევიდა... ლიზიმ პირველად ნახა ლუკა ცუდ ხასიათზე...

— რა გჭირს?

— არაფერი ისეთი... ყურადღება არ მომაქცია...

— კარგი რა, როგორ არ უნდა მოგაქციო ყურადღება?! აშკარად რაღაც მოხდა...

— ბანკის ვალი მაქვს... დიდი თანხა... თუ დღეს საღამომდე ვერ დაეფარე, ბინას გამოიყვანენ...

— რა უნდა ქნა?

— არ ვიცი...

— მაინც რამდენი გაქვს ვალი?

— ბევრი...

— ზუსტად?

— 100 000 დოლარი.

— თუ ვერ დაეფარე, ქუჩაში რჩები?

— ჰო...

— მე გიშოვი... რა გაგიკვირდა? მართლა გიშოვი...

— ჯერ ერთი, ამხელა თანხას ვერ იშოვი... მეორეც — რომც იშოვო, ვერ გამოგართმევ...

— ჩათვალე, რომ უკვე ვიშოვე და კი არ გაჩუქებ, გასესხებ...

— არა.

— გთხოვ...

— მაშინ... ერთ თვეში თუ ვერ დაგიბრუნე, სახლს გავყიდი და ისე მოგცემ. შევთანხმდით?

— კი...

ლიზიმ ასესხა ლუკას ფული, ლუკა კი უცებ გაქრა. მთელი ერთი კვირა არ ჩანდა... ლიზი მიხვდა, რომ ლუკამ მოატყუა და მისი ნახვის ყველანაირი იმედი გადაეწურა. თუმცა ერთი კვირის თავზე ტელეფონმა დარეკა... ლუკა იყო!

— რას შევბი, ლიზ?

— რა გითხრა... განსაკუთრებულს არაფერს. სად დაიკარგე მთელი კვირა?

— შენ იფიქრე, რომ თალღით ვიყავი, ჰო?

— არა, დებილი ხარ!..

— სიმართლე მითხარი.

— თუ სიმართლე გინდა... ჰო, ეგრე ვიფიქრე...

— ჰოდა, მართალიც იყავი... ყველაფერი ეს წინასწარ დადგმული და მოფიქრებული იყო...

— ანუ, ლიტერატურაც არ გიყვარს?

— ლიზის ტირილი აუფარდა.

— გამაგიჟებ... ახლახანს გაიგე, რომ 100 000 დაკარგე და რას მეკითხები? მგონი, ლიტერატურა კეჟერაძეზე მეტად გიყვარს...

— შეიძლება... მიპასუხე...

— შენი აზრით, არ არსებობენ თალღითები, რომლებსაც ლიტერატურა უყვართ?

— არსებობენ?

— კი. მე ვარ თალღითი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს.

— ამას სერიოზულად ამბობ?

— ჰო...

— მაშინ... არ გიჩივლებ... უბრალოდ, აღარსად აღარ შემხვდე...

— რა? — ამჯერად ლუკას გაუკვირდა გულწრფელად...

ლიზიმ ტელეფონი გათიშა... რამდენიმე წუთში მობილური კვლავ ანკრიალდა. ისევე ლუკა იყო...

— რა გინდა?

— წელან ის სერიოზულად მითხარი?

— ჰო...

— კარი გააღე...

— რატომ?

— კართან შენი ფული დევს...

არადა, იმ გოგოს, ალბათ, სულაც არ ერქვა ლიზი. რას არ მოიფიქრებს უსაქმური ადამიანი... აი, ახლა ორმოციოდე წლის კაცი მოდის...

სახელი — რეზო.

გვარი — აბულაძე.

პროფესია — ექიმი.

ინტერესის სფერო — ?..

გამომცემელი

ლაშა ბერაია:

„ქართველი მკითხველის — ბავშვებისა და მოზარდების სურვილებს ვითვალისწინებთ“



როცა დაუფუკავშირდით და ინტერვიუ ვხვდებით, გამოცემლობა „ლოგოსპრესის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა, ბატონმა ლაშა ბერაიამ მორიდებით გვითხრა: „არ ვიცი, რჩენი საქმიანობის გაშუქება თქვენთვის რამდენად საინტერესო იქნება. ძირითადად, სასკოლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის გამოცემებზე ვემუშავებთ“. თუმცა გამოცემლობაში მისულებს სხვა სურათი და გვხვდა — თაროები წიგნებს ვერ იტევს... ნიკოლოზ ბერდიავი, ჯორჯე დვარდ მური, არისტოფანე, მარი ლუიზე კაშნიცი, ავატა კრისტი, ენტონი სმითი, ლუდვიგ ვიდგენშტაინი, პიტერ ბერკი, ენდრიუ ჰეიუი, ზურაბ კიკნაძე, აკაკი ხინთიბიძე, ზაზა ბურჭულაძე, ირაკლი ჩარკვიანი — უამრავი ავტორი და უანრობრივად მრავალფეროვანი ლიტერატურა. „რამდენი წიგნი გამოგვიცა“ — ელიმება მასპინძელს. ნარმოდგენილ წიგნებში მისი გემოვნება ჩანს. ცოტა ხანში, ჩვენი საუბრისას, იტყვის კიდევ, ყველაფერი გემოვნების ამბავიაო. შემდეგ გატაცებით ისაუბრებს ანტიკური ხანის ლიტერატურაზე. ეს გასაკვირი არც არის, ბატონი ლაშა ხომ კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტია. ლიტერატურული გემოვნების გარდა, მას არც კომერციული ალლო ლალატობს, ამის დასტური წარმატებული გამოცემლობა „ლოგოსპრესია“.



— ბატონო ლაშა, საიდან გაჩნდა გამოცემლობა „ლოგოსპრესის“ შექმნის იდეა?

— გამოცემლობა „ლოგოსპრესია“ 2000 წელს შეიქმნა. უფრო ადრე კი, 1996 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი რისმაგ გორდენიანი გახლდათ. პროგრამა ერთად დავაფუძნეთ. ჩვენი ძირითადი მიზანი იყო, გამოგვეცა წიგნები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტის სფეროში. პროგრამა „ლოგოსში“ მუშაობა საკმაოდ საინტერესო იყო, მაგრამ თანდათან აღმოვაჩინე, რომ პროგრამის შედარებით ვინაო საგამომცემლო მიმართულება ვერ აკმაყოფილებდა ჩემს ინტერესებს, გემოვნებს. სურვილი მქონდა გამოემეცა სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო-შემეცნებითი და მხატვრული ლიტერატურა, „ლოგოსის“ ფორმატი კი ამგვარ გამოცემებს არ ითვალისწინებდა. ამიტომ, ერთგვარი არჩევანის წინაშე დავდექი — გავმხდარიყავი თუ არა მენარჩუნებ. გადაწყვეტილება მივიღე და ჩამოვყარე კერძო გამოცემლობა „ლოგოსპრესია“. განვსაზღვრე მიმართულებები, გავაფართოვე თემატიკა... მომიწინა ისეთ სფეროებში გარკვევაც, რომლის ცოდნა საგამომცემლო საქმისთვის აუცილებელია — მენეჯმენტი, ფინანსები და ა.შ. თავიდან, ერთდროულად რამდენიმე მოვალეობა საკუთარ თავზე ავიღე, მინდოდა გამოცემლობა ყოველმხრივ სრულყოფილი და გამართული ყოფილიყო, თუმცა, მოგახსენებთ, ერთდროულად ყველაფერზე ზრუნვა ძნელია, ამან გარკვეული სირთულეები შემიქმნა. ამჟამად ეს გადაილახა, ფუნქციები თანამშრომლებზე შესაბამისად გადაინაწილებულია, კარგი გუნდი გვყავს.

— ალბათ, თქვენი გამოცემლობის სახელწოდება, გარკვეულია, პროგრამა — „ლოგოსპრესია“ გამომდინარეცა...

— „ლოგოსპრესიისთვის“ ამ სახელწოდების შერჩევა განაპირობა იმ დარგმა, რომლის სპეციალისტიც ვახლავართ, ასევე — იმ საგამომცემლო პროგრამის სახელწოდებამაც, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც ვახლდით. გამოცემლობას იგივე სახელს ვერ დავარქმევდი, ამიტომ დაფუძნებ „პრესია“. ეს ინგლისური სიტყვაა, გამოცემლობას ნიშნავს და უცხო-

ური (განსაკუთრებით ინგლისურენოვანი) გამოცემლობების სახელწოდებებში ხშირად ფიგურირებს. საქართველოში „ლოგოსი“ ბევრი მიცნობდა, ამავე დროს, მსურდა გამოცემლობის სახელწოდება უცხოელი გამოცემლებისთვისაც გასაგებოდა ყოფილიყო, რადგან ფიქრობდი, ადრე თუ გვიან, მათთან თანამშრომლობა მომიხერხებოდა.

— „ლოგოსპრესია“ საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე რას გვეტყვი?

— ამ ეტაპზე, ჩვენი მთავარი მიმართულება, ზოგადად თუ ვიტყვი, საგანმანათლებლო წიგნებია. პირველ რიგში, სასკოლო სახელმძღვანელოებს ვვულისხმობ. გვაქვს მემკვიდე-მეათე კლასებისთვის განკუთვნილი ახალი სახელმძღვანელოები ისტორიაში, გეოგრაფიაში და სამოქალაქო განათლებაში. სახელმძღვანელოებს უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც ვბეჭდავთ. გამოცემები, ასევე, შემეცნებითი და გასართობი წიგნებს ბავშვებისა და მოზარდებისთვის. სურვილი გვაქვს ეს მიმართულება გავაძლიეროთ, საბავშვო გამოცემები უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ, მცირე ასაკიდან მოვიწყვეთ...

ემუშავებთ, ასევე, მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის უანრებში. გამოცემული გვაქვს კლასიკური ნაწარმოებებიც. მაგალითად, გამოცემით არისტოფანეს კომედიების ხუთტომეულს. სამი ტომი უკვე გამოვიდა, ამჟამად მეოთხე ტომი ვამზადებთ. კომედიების გამოცემა შემთხვევითი არ არის, ანტიკური ლიტერატურისადმი ინტერესი, გარკვეულიწოდ, ჩემმა სპეციალობამ განაპირობა. ჩვენ გამოვეცით ასევე ევრიპიდეს „მედეა“, „ბაყაყებისა და თავგების ომი“...

ერთ-ერთი წარმატებული მიმართულება, რომელზეც უკვე რამდენიმე წელია ვემუშავებთ — სასაჩუქრე წიგნებია. როგორც წესი, ეს წიგნები ცნობილი ადამიანების — მწერლების, ხელოვანების — გამონათქვამებს შეიცავს. სასაჩუქრე სერიას, ანალოგიური ფორმატის სხვა გამოცემებისგან, მაღალი პოლიგრაფიული ხარისხიც გამოარჩევს. სწორედ ამ განსაკუთრებულობის გამო, წიგნების ფასი ცოტა მაღალია. მასზე მოთხოვნა დიდია. ბევრი მყიდველი ჰყავს. მომავალში ამ მიმართულების მუშაობა განვიხილავთ ვაპირებთ.

— რამდენად ვიცი, სასაჩუქრე წიგნების სერია თქვენი გამოცემლობის ექსკლუზიური პროდუქტია, საიდან გაჩნდა მისი წარმოების იდეა?

— ასეთი სპეციფიკური ხასიათის წიგნებს სხვა გამოცემლობები არ ბეჭდვენ. თუმცა, შესაძლოა, მაგალითად, დედისადმი მიძღვნილი ან სხვა შინაარსის მქონე ცალკეული გამოცემები ჰქონდეთ.

სასაჩუქრე წიგნების მიმართულებაზე ფიქრი მას შემდეგ დავიწყე, რაც 2002 წელს, პირველად დავესწარი ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობას და ინგლისური გამოცემლობა „ჰელენ-ექსლის“ პროდუქციას გავეცანი. ისინი მხოლოდ სასაჩუქრე წიგნებზე მუშაობენ, უკვე საკმაოდ ბევრი სერია გამოცემა, ამ მიმართულებას მუდმივად ანახლებენ, მთელს მსოფლიოში იყიდება მათი პროდუქტია, წიგნები დაახლოებით ოც ენაზეა თარგმნილი. ჩვენც, როგორც ქართული გამოცემლობა, შევუერთდით მათ. მართალია, წიგნები თარგმნილია, მაგრამ ვცდილობთ, მათში ცნობილი ქართველი მოღვაწეების გამონათქვამებიც ჩავართოთ და ამით ქართული ელფერი შევძინოთ.

— საგამომცემლო საქმეში წარმატების მისაღწევად, მიმართულებების და-

სახეწოდება, წლების მანძილზე, გარკვეული სირთულეების გადალახვა მოგიხდათ...

— იმ სირთულის შესახებ, რომლის გადალახვაც გამოცემლობის დაარსების პირველ ეტაპზე მომიხდა — უკვე მოგახსენეთ. თავიდან, სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემაც გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული: განათლების სამინისტრო სასკოლო სახელმძღვანელოებზე აცხადებდა ტენდერებს, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ არა გამოცემლობებს, როგორც ეს მსოფლიოს სხვა ქვეყნებშია მიღებული, არამედ ავტორებს — ინდივიდუალურად ან გამოცემლებთან ერთად. კომისიის გადაწყვეტილება, ხშირად, ავტორებსა და განათლების სამინისტროს თანამშრომლებს შორის სხვადასხვა სახის გარიგებებისა თუ პროტექციონიზმის შედეგად მიიღებოდა. ტენდერში გამარჯვებული ავტორები თვითონვე მოიძიებდნენ გამოცემლებს, ოღონდ, ამ უკანასკნელებს „გამომცემლების“ პოზიციიდან ესაუბრებოდნენ — მათ ნაცვლად იღებდნენ პასუხისმგებლობას და შექმნილ პროდუქტიაზე ბიზნეს-რისკებს განსაზღვრავდნენ. ფაქტიურად, პროცესი თავდაყირა იდგა. შესაძლოა, ავტორი ერკვეოდა კიდევ თემატიკაში, საგნობრივი პროგრამის დანერგვას ეხერხებოდა, მაგრამ მის ნამუშევარს, გამოცემელისა თუ რედაქტორის სახით, კრიტიკოსი არ ჰყავდა. გამოცემლობა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ სტამბის დანიშნულებას ასრულებდა.

2004 წლიდან, ქვეყანაში პოლიტიკურ



ცვლილებებს განათლების სფეროს განახლებაც მოჰყვა. შეიცვალა სამინისტროს მიდგომები და პოლიტიკა სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებითაც. ახლა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო პროგრამა, რომლის ფარგლებში, გამოცემლობები სახელმძღვანელოებს ქმნიან და სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობენ. სწორედ ხუთი წლის წინ, საშუალება მომეცა ავტორთა ჯგუფი შემეკრიბა და სახელმძღვანელოები ახალ საგნობრივ პროგრამებზე დაყრდნობით მოემზადებინა. ჩვენი ახალი წიგნები სკოლებში 2006 წლიდან შევიდა. როგორც გითხარით, ესენია „სამოქალაქო განათლება“ და გაერთიანებული სახელმძღვანელოები ისტორია-გეოგრაფიაში, რომელიც მომავალი წლიდან ისევ

ცალ-ცალკე საგნებად ისწავლება და, შესაბამისად, ჩვენც ასე გამოვეცემთ.

— როგორც ვიცი, თქვენს მიერ გამოცემული საბავშვო წიგნები — მხატვრული თუ შემეცნებითი-გასართობი ლიტერატურა ძირითადად უცხოურიდანაა თარგმნილი...

— ჯერ-ჯერობით რაც გამოვეცით და რის გამოცემასაც შექმენებოდა ვაპირებთ — თარგმნილი წიგნებია. ჩვენი თანამშრომლები უცხოელი პარტნიორები არიან, რომლებიც ინგლისსა და ესპანეთში მოღვაწეობენ. მათთან არაერთი წელია ვთანამშრომლობთ. თუმცა ორიგინალური საბავშვო ლიტერატურის გამოცემაზეც ვფიქრობთ. გვინდა, ასევე, კლასიკურ ნაწარმოებებსაც მივუბრუნდეთ. შესაძლოა, უცხოელ პარტნიორებთან ერთად, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოვეცეთ ბავშვებისათვის საყვარელი ზღაპარი „ელისეს თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“. აქვე შევნიშნავ, რომ არასწორია ჩვენთან გავრცელებული სახელი ზღაპრის მთავარი გმირისა, „ალისა“, როგორც მას უმეტესად უწოდებენ, რუსული თარგმანიდან გამომდინარე ფორმაა. თავის დროზე, როცა ნაწარმოები გიორგი გოკიელმა თარგმნა, მას სწორედ „ელისეს თავგადასავალი“ ერქვა.

გამომცემული გვაქვს საინტერესო წიგნები ბავშვებისათვის სამი წლის ასაკიდან. ერთ-ერთია „პანა საგანძური“, რომელიც თხუთმეტი პატარა წიგნისგან შედგება. წიგნი ბავშვს ლოგიკურ აზროვნებას აჩვენებს და ეხმარება მას თემატურად დაალოგოს საგნები, ერთმანეთისგან განარჩიოს ბუნების მოვლენები და ა.შ. გამოვარჩევდი, ასევე, ჩვენს მიერ გამოცემულ სამგანზომილებიან წიგნს, რომელსაც „ჯადოსნური ხე-სახლი“ ეწოდება. პატარებს, რომლებიც ამ ჯადოსნურ ზღაპარს გადაფურცლავენ, საშუალება ეძლევათ ითამაშონ, მოძებნონ გაბნეული ჯადოსნური ქვები და ერთგვარად, წიგნში მოთხრობილი იდუმალი ამბის მონაწილენი გახდნენ.

სექტემბრისთვის ველოდებით ახალ წიგნებს ისევ პატარებისთვის. ეს გახლავთ „ფაზლების“ ტიპის წიგნი, რომელიც ბავშვს გარკვეულ უნარებს განუვითარებს და ლოგიკურ აზროვნებას გამოუმუშავებს. გოგონებისთვის კი, ალბათ, ძალიან საინტერესო იქნება „პრინცესას სამაგიდო წიგნი“, რომელსაც მალე გამოვეცემთ. წიგნი დაეხმარება გოგონებს აღმოაჩინონ საკუთარ თავში პრინცესა, ისწავლონ შესაბამისი მოქცევა, სუბარა, დეუფლონ კარგ მანერებს. პატარა მკითხველებს კლასიკურ ზღაპრებსაც ვთავაზობთ. „ნითელქუდა“ და „პიტერ პენი“ ორენოვანი გამოცემების სახით დაიბეჭდება, ბავშვები ამ ზღაპრების წაკითხვას ქართულ და ინგლისურ ენებზე პარალელურად შეძლებენ.

— როცა საბავშვო გამოცემებზე საუბარი, წიგნების ვიზუალური მხარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. როგორ გაქვთ ეს საკითხი მოგვარებული — თქვენი მხატვრები გყავთ თუ უცხოური ილუსტრაციებით სარგებლობთ?

— მხატვარი დაგჭირდება, როცა ორიგინალურ გამოცემებზე მუშაობას დავიწყებთ. ჯერ-ჯერობით კი, მოგეხსენებათ, უცხოურიდან თარგმნილ წიგნებს გამოვეცემთ, მათ დაზიანს ვიყენებთ, ეს კარგად ილუსტრირებული წიგნებია და ჩვენი ჩარევა აღარ სჭირდება.

— პოლიგრაფიულ ხარისხს როგორ უზრუნველყოფთ თქვენი წიგნები ამ მხრივ გამოირჩევა.



— როგორც წესი, წიგნებს ჩინეთში, ტიპიურად ვეჭვავდით.

— თქვენი საუბრიდან ჩანს, უცხოურ გამოცემებთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები გაქვთ.

— ჩვენ ვეძებთ საინტერესო პარტნიორებს, ისინიც გვეძებენ, ერთმანეთს წიგნის მნიშვნელოვან საერთაშორისო ბაზრობებზე ვპოულობთ. ერთ-ერთი ასეთი ბაზრობა ყოველწლიურად ქალაქ ფრანკფურტში იმართება. უცხოელთაგან ვყიდვით უფლებას სხვადასხვა კონკრეტულ გამოცემებზე. ალბათ, მომავალში, ქართველი გამოცემლები დასავლელი პარტნიორების დაინტერესებას შეძლებენ და ანალოგიურად, ქართულ პროდუქციასაც გაყიდვას უფლებებს. ამ მხრივ, მინდა აღვნიშნო კულტურის სამინისტროს მნიშვნელოვანი ნაბიჯები — შეიქმნას ფონდი, რომელიც უცხოური გამოცემლობების მიერ ქართული წიგნების თარგმნას დააფინანსებს. ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნის ამგვარი ხელშეწყობა, ჩვენი პარტნიორებს საგამომცემლო ტვირთს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს და მისცემს სტიმულს, საკუთარ ქვეყნებში ქართველ ავტორთა წიგნების გამოცემის რისკი უფრო თამამად გასწიონ.

— ქართული წიგნისა და ლიტერატურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფონდის არსებობა მართლაც მნიშვნელოვანია. უნდა ითქვას, რომ პროგრამის დანარჩენი მიმართულებების ამოქმედება ქართული საგამომცემლო საქმის დანინაულებას ძალიან შეუწყობს ხელს.


— ჩემთვის ცნობილია, რომ გათვალისწინებულია, ასევე, თბილისის წიგნის ყოველწლიური ფესტივალის დაფინანსებაც და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს კოლექტიური სტენდის სულ უფრო მასშტაბურად წარმოდგენა. პროგრამის მიხედვით, საბიბლიოთეკო პროექტის განხორციელებაც იგეგმება. სახელმწიფო, ყოველწლიურად, ბიბლიოთეკებისთვის შეისყიდის გამოცემული წიგნების გარკვეულ რაოდენობას.

— სახელმწიფოს მხრიდან ასეთი გარანტია ხომ, სერიოზული სტიმული იქნება გამოცემლებისთვის და მათ ბიზნეს-რისკებსაც აარილებს.

— ეს პროგრამა გამოცემლებს ნაწილობრივ მართლაც დაგვეხმარება. ქართული ბაზარი იმდენად მცირეა, რომ რთულია ხანგრძლივად, ექსპერიმენტისა თუ ენთუზიაზმის დონეზე გამოსცე წიგნები, რომელიც გასურს. ძალიან მცირე ტირაჟებია. ამ პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი 300-500 წიგნის გარანტირებული შესყიდვა, ცხადია შეღავათი იქნება ჩვენთვის. თუმცა, სისტემა აქაც დახვეწას მოითხოვს — საქართველოში ბიბლიოთეკების რაოდენობა შემ-

ამგვარი ინტერაქტიული ფორმები განვითარებული არ არის, უფრო საბჭოური მიდგომაა შემორჩენილი. უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო, მკითხველს მეტი ინფორმაცია უნდა მიწოდდეს და სასიამოვნო გარემო შეუქმნას, რომ ბიბლიოთეკებს დაუბრუნდეს. ამ მხრივ, გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია. მაგალითად, ძალიან მომწონს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის მალაზია, იქვეა კაფე და საპიტიველო დარბაზი, სადაც შეგიძლია ჩამოჯდეთ და ფინჯან ყავაზე წიგნი იკითხოთ.

— ბაზრის სიმცირის გამო, გამოცემლობები, ძირითადად, კომერციულ პროექტებზე არიან ორიენტირებულნი. ალბათ თქვენც გაქვთ კომერციული გა-



მოცემები, რომელთა რეალიზაციის ხარჯზეც თქვენთვის უფრო ღირებულ, მაღალმხატვრულ ლიტერატურას ბეჭდავთ.

— საუბრის დასაწყისში, არისტოფანეს კომედიები ვახსენე. ეს კომერციული პროექტი არ გახლავთ, საკმაოდ მცირე ტირაჟით იყიდება, თუმცა საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ეს მნიშვნელოვანი წიგნებია და მას თავისი მკითხველი ჰყავს. იმისთვის რომ უმცროსი ასაკის ბავშვები, მოზარდი თაობა კითხვას მიეჩვიოს, ბევრია გასაკეთებელი. დასავლურ სამყაროშიც კი, სადაც ხალხი თითქოს უფრო მეტს კითხულობს, ვიდრე ჩვენთან, კითხვის პროგრამები არსებობს, წიგნის პოპულარიზაცია სახელმწიფოს ინტერესებშიც შედის, იგი კითხვის პროგრამების ფარგლებში გამოცემული წიგნების შესყიდვას აწარმოებს. ამ წიგნებს, მუნიციპალური ფონდებიდან, ძირითადად სკოლები იძენენ. საუბარია იმაზე, რომ ბავშვებს კითხვა შევაყვაროთ. თუკი განათლების სისტემა ამ მიმართულებით მეტად დაიხვეწება, მართებულად იმუშავებს და აღზრდის თაობას, რომელსაც წიგნი ეყვარება, მომავალში მკითხველის რაოდენობა მოიმატებს. ჩვენი მხრივ, ვცდილობთ იმგვარი პროექტები განვახორციელოთ, რომელიც წიგნის მიმართ ბავშვის ინტერესს მცირე ასაკიდანვე გააღვივებს. ამიტომაც საბავშვო მიმართულების განვითარებაზე ვმუშაობთ. ჯერ ერთი, საბავშვო წიგნები კომერციულად გამართლებულია, მეორეც — გვინდა ჩვენი წიგნების მკითხველი ბავშვები, მომავალში სერიოზული ლიტერატურის მომხმარებლები გახდნენ.

— თავიდან, „ლოგოსპრესის“ საქმიანობას მხოლოდ საბავშვო ლიტერატურის გამოცემა არ განსაზღვრავდა, თქვენ ბეჭდავდით წიგნებს უფროსებისთვისაც. ამ მიმართულებით ახლაც მუშაობთ, თუმცა პასიურად. საბავშვო პროექტებისთვის უპირატესობის მინიჭება რამ განაპირობა? ბიზნესმა ხომ არა?

— გეტყვით. დღეს, მხატვრული თუ არამხატვრული მალალი ხარისხის ლიტერატურის გამოცემა რომ შეძლო, ან რაიმე დამატებითი ბიზნესი უნდა გქონდეს, ან კომერციულად ძალიან მომგებიან წიგნებს ბეჭდავდით და მის ხარჯზე შენთვის სასურველ, არაკომერციულ პროექტებს ანხორციელებდით. ბევრ გამოცემლობას თავისი სტამბა აქვს, ზოგიერთი მათგანი, ძირითადად, სწორედ სასტამბო საქმიანობაზეა დაკავებული და აქედან მიღებული მოგებით არაკომერციული პროექტების დაფინანსებას ახერხებს. არის შემთხვევები, როცა გამოცემლობა შეკვეთებზე მუშაობს, ანუ ავტორებსა თუ ცალკეულ ორგანიზაციებს საგამომცემლო პოლიგრაფიულ მომსახურებას სთავაზობს. მართალია, ეს გამოცემლობის კლასიკური საქ-

მიანობა არ არის და გარკვეულწილად სერვის-ცენტრის მომსახურების მსგავსია, მაგრამ ამგვარი კომერციული შეკვეთების პარალელურად, ისინი საკუთარ პროდუქციას ქმნიან. ამგვარი შემოსავლები, მათ ბიზნეს-რისკების განწმენის საშუალებას აძლევს. ჩემი დაკვირვებით, დღევანდელი სურათი ასეთია. თუმცა, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ენთუზიაზმი — ყველასთან სხვადასხვაგვარადაა. ასეა თუ ისე, არაკომერციული წიგნები ბაზარზე მაინც გამოდის, გამოცემლობები ენაცვლებიან ერთმანეთს და ახერხებენ მცირეტირაჟიანი წიგნები, მაღალმხატვრული ლიტერატურა გამოცემენ.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ლიტერატურული პრემიები, რომელთა რაოდენობაც საქართველოში თანდათან გაიზარდა. ეს გარკვეულწილად ეხმარება, სტიმულს აძლევს გამოცემლებს გარისკონ და სხვა შემოსავლების ხარჯზე, საინტერესო მხატვრული ლიტერატურა გამოსცენ, რადგან თუკი მათი პროდუქტი ლიტერატურული კონკურსის ნომინანტი გახდება ან პრემიას დაიმსახურებს, ეს გამოცემლობის პოპულარიზაციას, მისი იმიჯის ზრდასაც განაპირობებს. ამაში კი ცუდი არაფერია.

— რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ უცხოური საბავშვო წიგნი მოგეწონოს და მისი თარგმნა, გამოცემა გადაწყვიტოთ?


— ქართველი მკითხველის მოთხოვნებს, ბავშვებისა და მშობლების სურვილებს ვითვალისწინებთ. ახლა, შემეცნებითი ხასიათის წიგნებზე განსაკუთრებული მოთხოვნაა. მშობლებს სურთ, მათი შვილები განათლებულნი იყვნენ. მზარდი მოთხოვნა საგანმანათლებლო ლიტერატურაზე, სწორედ ამ ინტერესის შედეგია. ეს ძალიან კარგია. ვცდილობთ, წიგნები შინაარსობრივად და პოლიგრაფიულადაც მაღალი ხარისხის იყოს. გარდა ამისა, გემოვნების ამბავიცაა, ყველა გამოცემული საკუთარი გემოვნებით ირჩევს წიგნებს. დანარჩენს კი, ბაზარი არეგულირებს.

— საქართველოში, როგორც წესი, უცხოური ლიტერატურა საავტორო უფლების გარეშე ითარგმნებოდა და გამოიცემოდა. „ლოგოსპრესი“ და რამდენიმე სხვა ქართული გამოცემლობა ამ უფლებას მუდამ იცავთ. რამდენად გამოსწორდა ამ მხრივ მდგომარეობა ქართულ ბაზარზე?

— ვიტყვოდი, რომ ბოლო ერთი ან ორი წლის მანძილზე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ვიცნობ გამოცემლებს, რომლებიც საავტორო უფლებას განგებ კი არ არღვევდნენ, არამედ არც კი იცოდნენ, რომ შესაბამისი საავტორისთვის, ავტორისა თუ მისი მემკვიდრისთვის უნდა მიემართათ და მათი პროდუქციის თარგმნასა და გამოცემაზე ოფიციალური ნებართვა აეღოთ. ამგვარი უფლების მიღება აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ზედდება არ მოხდეს და სხვა გამოცემლობებში, შემთხვევით, იგივე წიგნი არ დაბეჭდოს. ეს არის ურთიერთობის ცივილიზებული ფორმა, რომელიც არეგულირებს ბაზარს და ამავე დროს საშუალებას გვაძლევს თანამედროვე საგამომცემლო სამყაროს ნაწილი გავხდეთ. თუ ამ სამყაროში მიღებულ წესს უგულვებლყოფთ, უცხოელ პარტნიორებთან ჩვენი საუბარი ვერ შედგება, ისინი არ გცნობენ. ეს პრინციპი მთელს დასავლურ ლიბერალურ საზოგადოებაში მოქმედებს — ის, რაც შენი არ არის, უნდა ითხოვო, იყიდო, შეთანხმებული პირობების დაცვით გამოიყენო და სარგებელი ნახო.

წელს, მარტის თვეში, საავტორო უფლების თემას, ორი ძალიან მნიშვნელოვანი სემინარი მიეძღვნა. სემინარს ინგლისელი ექსპერტი ლინეტ იუენი უძღვებოდა. ოცამდე ქართველი გამოცემელი დაესწრო ამ ღონისძიებას და ამისთვის საკმაოდ მაღალი თანხა გადაიხადეს. მათი ასეთი ინტერესი, ამ სფეროში რადიკალური ცვლილების ნიშანია. მათთვის მნიშვნელოვანია, მომავალში სხვა გამოცემლებთან თუ ავტორებთან სასამართლო დავები თავიდან აიცილონ. გარდა ამისა, ეს ურთიერთპატივისცემის ამბავიცაა. საავტორო უფლების დაცვა ქართველ ავტორებთან ურთიერთობასაც აწესრიგებს. გამოცემლებს ესმით, რომ აწერეგამოცემულ თარგმანსა თუ ორიგინალურ ტექსტს ვერ დაბეჭდავენ, თუ ავტორს არ მიმართეს და შესაბამისი ხელშეკრულება არ გააფორმეს. ასე რომ, ბაზრის დარეგულირება სწრაფი ნაბიჯებით მიმდინარეობს.

თუმცა, არის გარკვეული პრობლემე-



ბი საბავშვო წიგნებთან დაკავშირებით. საქართველო იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ ბევრ უცხოელ გამოცემელს არ უღირს დავის წამოწყება. ამით ზოგიერთი ქართველი გამოცემელი სარგებლობს და წიგნებს უფლებობდ, დაუსჯელად გამოცემს. ამ შემთხვევაში, მათ ქართველ კოლეგებს ეშლებათ ხელი. ისინი, იგივე წიგნებზე სრულიად ლეგალურდ მუშაობენ, შესაძლოა, საკმაოდ დიდ თანხასაც იხდიან და ამ დროს, ბაზარზე, იგივე პროდუქტი ხვდებათ.

— ბატონო ლაშა, ამ წლების მანძილზე თქვენს მიერ განხორციელებული განსაკუთრებულად საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტებიდან რომელს გამოყოფდით?

— რამდენიმეს დავასახელებდი. ერთ-ერთია ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების პროექტი, რომელშიც, როგორც რედაქტორი, აქტიურად ვმონაწილეობდი. გამოვარჩევი, ასევე, ენდრიუ ჰეივუდის „პოლიტიკურ იდეოლოგიებს“. ეს არის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომლის ერთ-ერთი მთარგმნელი და რედაქტორიც მე ვაქვარ. თავს ლიბერალიზმის მიმდევრად ვთვლი, ამ წიგნში მსოფლიოში არსებული ყველა იდეოლოგია განხილულია, ამდენად მასზე მუშაობა ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო. მნიშვნელოვანი პროექტია არისტოფანეს კომედიების ხუთტომეულის გამოცემაც. საქართველოში, ანტიკური ხანის ამ ავტორის შემოქმედება, ამგვარი სრულყოფილი სახით, აქამდე არ გამოცემულა. კომედიები ლევან ბერძენიშვილმა თარგმნა.

— „ლოგოსპრესი“ ძირითადად თარგმნილ ლიტერატურას გამოცემს, ალბათ ხარისხიან თარგმანს დიდ ყურადღებას აქცევთ.

— რამდენიმე მთარგმნელთან ვმუშაობთ. ზაზა ჭილაძესა და გია ჭუმბურიძეს გამოვყოფდი, ბოლო დროს, მათთან ძალიან ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ.

— თანამედროვე ქართულ პროზას არ გამოცემთ?

— გამოცემული გვაქვს ზაზა ბურჭულაძის ორი რომანი და ირაკლი ჩარკვიანის „მშვიდი ცურვა“.

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

— ვაპირებთ გავაგრძელოთ სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა. მე-5 და მე-6 კლასებისათვის ახალი საგნობრივი პროგრამები შემუშავდა, ამ მიმართულებით ვიმუშავებთ. გავაგრძელებთ, ასევე, საბავშვო საკითხავი ლიტერატურისა და სასაჩუქრე წიგნების გამოცემას. თუ საშუალება გვექნება მხატვრულ პროზასაც დავებეჭდავთ და შესაძლოა, ზოგიერთი არაკომერციული პროექტიც განვახორციელოთ. საკმაოდ ბევრი შემოთავაზება გვაქვს, საინტერესო წიგნებია...

— შემოთავაზება ავტორებისგან გაქვთ?

— ზოგი ავტორია, ზოგიც მთარგმნელი. არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო, არაკომერციული პროექტების ამოქმედებას ვერ ვებეჭდვით. თუმცა, ალბათ, ერთი-ორი ასეთი წიგნი მაინც გვექნება.

— თარგმანებს გულისხმობთ?

— ჯერჯერობით, ორიგინალ-0ური ნაწარმოებების გამოცემა შემოგვთავაზეს, ერთი-ორი თარგმანიცაა. სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ.

ესაუბრა თამარ ჟურული



ცირდა, მოქმედი ბიბლიოთეკები კი, არა მხოლოდ უნდა გარემონტდეს, არამედ ფუნქციონირებს შევსებასთან ერთად, მათი მენეჯმენტიც უნდა გაუმჯობესდეს, მიდგომები შეიცვალოს. ბიბლიოთეკებმა მეტი დრო და სახსრები მოსახლეობაში თავისი საქმიანობის რეკლამირებას უნდა დაუთმონ, შესაძლებელია გარკვეული აქციებიც ჩაატარონ. მაგალითად, 23 აპრილი წიგნისა და საავტორო უფლების საერთაშორისო დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით, გამოცემლობები, ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებებს ვმართავთ, გამოფენა-გაყიდვებსა თუ პრეზენტაციებს ვანწყობთ. ბიბლიოთეკარებიც უნდა ჩაერთონ, თუნდაც, ქუჩაში გავიდნენ და „ფლაიერები“ დაარიგონ. ჩვენთან, ჯერ-ჯერობით,

ჯულიან ბარნსი

პორტრეტი

ჯულიან ბარნსი დაიბადა 1946 წელს, ინგლისის ქალაქ ლეიკესტერში. განათლება მიიღო ლონდონის სკოლა-სა და ოქსფორდის მაგდალენას კოლეჯში, შემდეგ ნარჩინებით სწავლობდა თანამედროვე ენების ფაკულტეტზე. სამი წლის განმავლობაში მუშაობდა ლექსიკოგრაფად ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონზე.

კარიერა ჟურნალისტიკით დაიწყო. წერდა მიმოხილვებს „ტაიმზის“ ლიტერატურული დამატებისთვის. 1977 წელს იყო „ნიუ სთეიტმენტის“ მიმომხილველი და ლიტერატურული რედაქტორი. მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ტელევიზიაში.

ბარნსის პირველი რომანი „მეტროლენდი“ (1980) არის ახალგაზრდა კაცის თავგადასავალი, რომელიც ინგლისის პროვინციიდან პარიზში მიდის. ამას მოჰყვა „სანამ მე შემხვებოდა“ (1982). ბარნსის ცნობილი ნივნი „ფლობერის თუთიყუში“ (1984) ბუკერის პრემიის შორტლისტიში შევიდა და ჯეფრი ფაბერის მემორიალური ჯილდო მიიღო. ნივნი აღწერილია ექიმის მოგზაურობა რუანსა და კრუსეში „მადამ ბოვარის“ ავტორის ნაკვალავის ძიებისას.

ჯულიან ბარნსი ავტორია ოცდაორი რომანისა. მათგან ყველაზე პოპულარული ნაწარმოებებია „სამყაროს ისტორია 10 1/2 თავად“ (1989), „არხის გადაღვა“ (1996), „ინგლისი, ინგლისი“ (1998), „სიყვარული და ასე შემდეგ“ (2000), „არტური და ჯორჯი“ (2005). მისი ბოლო რომანია „საშიში არაფერია“ (2008). ბარნსი ასევე ავტორია მოთხრობებისა, ლიტერატურული წერილებისა. მიღებული აქვს 17 ლიტერატურული პრემია.



მისტიკური ტატილი თავიდანვე ყველაფერზე დაობდა: ფასზე — ოც დოლარზე, ტილოს ზომაზე, პერსპექტივაზე, ფანჯრიდან რომ უნდა გამოჩენილიყო. საბედნიეროდ, პოზასა და კოსტუმზე სწრაფად შეთანხმდნენ. ამეებზე უოდსუორთმა სიამოვნებით დაუთმო გადასახადების ამკრეფს; ასევე სიამოვნებით მისცა ჯენტლმენის გარეგნობა, თავისი ოსტატობის ფარგლებში, რასაკვირველია. ბოლოს და ბოლოს, ეს იყო მისი საქმე. პორტრეტისტი გახლდათ, მაგრამ თან ხელოსანიც, და ხელოსნის ნიხრით უხდიდნენ, რომ ისე დაეხატა, როგორც კლიენტს აწყობდა. ოცდაათი წლის მერე ერთ-ორ კაცს თუ ემახსოვრებოდა, როგორ გამოიყურებოდა გადასახადების ამკრეფი; მისი ფიზიკური არსებობის ერთადერთი კვალი მას მერე, რაც უფალს წარუდგებოდა, ეს პორტრეტი იქნებოდა. უოდსუორთის გამოცდილებით, კლიენტებისთვის ნამდვილი მსგავსებაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, სერიოზულ, ღვთისმომთმ ქალებად და კაცებად დაეხატათ. მსგავსება დიდად არ აღელვებდათ.

უოდსუორთმა თვალის კუთხით დაინახა, რომ მისი კლიენტი ლაპარაკობდა, მაგრამ ფუნჯს მზერა არ მოაშორა. ამის მაგივრად აკინძულ ბლოკნოტზე მიუთითო, რომელშიც ვინ იცის, რამდენ ნატურას ჰქონდა ჩანერილი შენიშვნები, ქება და საყვედური, სიბრძნე და სიბრიყვე. ისიც შეეძლო, ნებისმიერ გვერდზე გადაეშალა ნივნი და კლიენტისთვის ეთხოვა, შესაფერისი შენიშვნა აერჩია, წინამორბედიბისგან ხუთი ან ათი წლის წინ დატოვებული შენიშვნებიდან. გადასახადების ამკრეფის მოსაზრებები მისივე ჟილეტის ღილებივით მკაფიო იყო, თან ნაკლებ საინტერესო. საბედნიეროდ, უოდსუორთს იმისთვის უხდიდნენ, რომ მოსაზრებები კი არა, ჟილეტები გამოესახა. რასაკვირველია, ეს უფრო ეძნელებოდა: ჟილეტის, პარიკის, ბრიჯების გამოსახვა იყო მოსაზრებების ასახვა — მათი ჭეშმარიტი არსის ასახვა. ჟილეტი და ბრიჯები წარმოადგენდათ სხეულს, რომელსაც მოსავდნენ, ისევე, როგორც პარიკი და ქუდი მიანიშნებდა, რა ტვინი იყო ქვეშ — თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ხატოვანი გაზვიადება იქნებოდა ვარაუდი, რომ ტვინი საერთოდ იყო.

დიდი სიხარულით დატოვებდა ამ ქალაქს, ჩაალაგებდა ფუნჯებსა და ტილოებს, საღებავებსა და პალიტრას პატარა ურიკაში, შეკაზმავდა თავის ფაშატს და დადგებოდა ტყის ბილიკს, რომელიც სამ დღეში მიიყვანდა სახლში. იქ დაისვენებდა, დაფიქრებოდა და იქნებ, სხვაგვარად ცხოვრებაც გადაეწყვიტა, მოხეტიალის ამ გამუდმებულ ჯაფაზე რომ უარს ეთქვა. თუნდაც მოვასწარის ცხოვრებას აირჩევდა, ან შუამავლობა. ამ ქალაქში ღამით მოვიდა, როგორც ყოველთვის, ოთახი იქირავა, მერე გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, სადაც მიუთითა თავისი კომპეტენცია, ფასები და შესაძლებლობები. „თუ ექვსი დღის განმავლობაში არავინ გამოეხმაურება, — ნათქვამი იყო განცხადებაში, — მისტერ უოდსუორთი ქალაქიდან წავა“. უკვე დახატული ჰყავდა საგალანტერიო მალაზიის გამყიდველის პატარა გოგონა და დიაკვანი ზებედიანა ჰარიონი, რომელმაც ქრისტიანულად უმასპინძლა და გადასახადების ამკრეფთანაც გაუწია რეკომენდაცია. მისტერ ტატლის ბინა არ შეუთავაზებია, მაგრამ პორტრეტისტს ხალისით ეძინა თავლაში, თავისი ფაშატის

საზოგადოებაში და სამზარეულოში იკვებებოდა. მერე, მესამე საღამოს მოხდა ის ინციდენტი, რომელმაც დაამარცხა — იგრძნო, რომ არ შეეძლო გაპროტესტება. ამან მოსვენება დაუკარგა. სიმათლე რომ გამჟღავნებულიყო, ესეც გულს მოუკლავდა. ამკრეფი უნდა დაეხატა, როგორც ერთი ხეპრე და მკვებარა კაცი, — ხატვის გამოცდილება არ აკლდა — და ეს ამბავი დაეინყებინა. შეიძლება, მართლა უნდა ეფიქრა, მუშაობაზე ხელი აეღო, ფაშატი გაეუსუქებინა და იმით ეცხოვრა, რასაც მოიყვანდა და ფერმაში გაზრდიდა. ყოველთვის შესძლებდა გარკვეულ ფასად კარ-ფანჯრის მოხატვას, ადამიანების ხატვის სანაცვლოდ; ამას არ ითაკლებდა.

პირველ დილას, უოდსუორთი იძულებული იყო, გადასახადების ამკრეფისთვის ბლოკნოტში მიეჩინა ადგილი. ამ კაცმა, ბევრი სხვასავით, წარმოიდგინა, რომ პირის ფართოდ გაღებაც კი საკმარისი იქნებოდა ურთიერთობისთვის. უოდსუორთი თვალს ადევნებდა ფურცელზე კალმის მოძრაობას და შემდეგ საჩვენებელი თითის მოუთმენელ ტყაპუნს. „თუ ღმერთი მოწყალეებას მოიღებს“, დაწერა კაცმა, „იქნებ, ზეცაში ყურთასმენა გქონდეს“. პასუხად ბედნიერად გაიღიმა, სწრაფად დაუქინა თავი, ალბათ გაკვირვებისა და მადლიერების ნიშნად. ასეთი რამე მანამდეც ბევრჯერ წაუკითხავს. ხშირად ასე გამოხატავდნენ ქრისტიანულ გულისხმიერებასა და მანუგუმებელ იმედს; ხან კი ახლადდელივით, ცუდად შენიღბულ შიშს იმის გამო, რომ ამქვეყნად იყვნენ ადამიანები ესოდენ დამთრგუნველი დეფექტებით. მისტერ ტატლი ისეთი ბატონი იყო, ვისაც მუხვი, ყრუ და ბრმა მსახურები ერჩივნა — გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თვითონ სხვაგვარად სჭირდებოდა. რასაკვირველია, სამართლიანი რესპუბლიკა რომ გამოცხადდა, ხელოსნები და ყმები ქალაქლებად და დაქირავებულ მსახურებად იქცნენ, მაგრამ ბატონები და მსახურები არ გადაშენებულან; არც ადამიანის მარადიული თვისებები შეცვლილა.

უოდსუორთი არ ფიქრობდა, შემგროვებელს არაქრისტიანულად განვსჯიო. აზრი პირველი კონტაქტისას ჩამოუყალიბდა და იმ მესამე საღამოს დადასტურდა. ინციდენტის სისაძაგლეს ამძაფრებდა ის, რომ საქმეში ბავშვი იყო გარეული, მებაღე ბიჭი, რომელიც იმ ასაკში შედიოდა, როცა მოზარდი გონებაში უნდა ჩავარდეს. პორტრეტისტი ბავშვებს ყოველთვის ალერსიანად ექცეოდა, რადგან ბავშვები იყვნენ; რადგან ემადლიერებოდა, რომ არაფრად აგდებდნენ მის ნაკლს. და კიდევ იმიტომ, რომ თვითონ შვილი არ ჰყავდა. ცოლიც არასოდეს ჰყოლია. ალბათ ჯერ კიდევ შეეძლო შერთვა, ოღონდ უნდა დარწმუნებულიყო, რომ ქალს შვილის გაჩენის ასაკი გადასული ჰქონდა. თავის ნაკლს სხვას ვეღარ აპკიდებდა ტვინთად. ვილაცხამს ცადა აეხსნა, ვე შიში უსაფუძვლოაო, რადგან დეფექტი დაბადებიდან კი არ დაჰყოლია, არამედ ყვავილმა დაუტოვა ხუთი წლისას. ეგეც არ იყო, დასძენდნენ, განა გზა ვერ გაიკაფე? შენი ვაჟიც, როგორი აგებულებისაც არ უნდა იყოს, ვერე ვერ იზამსო? იმის წარმოდგენა, რომ შეიძლებოდა, გოგოს განკიცხულივით ეცხოვრა, მისთვის მეტისმეტი იყო. მართალია, შინ მოუნევდა დარჩენა და დიდი სიახლოვეც ექნებოდათ, მაგრამ რა მოუვიდოდა ასეთ ბავშვს მისი სიკვდილის შემდეგ? არა, სახლში წავიდოდა და თავის ფა-

შატს დახატავდა. ყოველთვის ეს უნდოდა, და იქნებ, ახლა აღესრულებინა კიდევ. აგერ, უკვე ოცი წელი მისი მეგობარი ცხენი იყო, იოლად უგებდა და არაფრად აგდებდა იმ ხმებს, კაცს რომ ამოსდიოდა პირიდან, როცა ტყეში მარტონი იყვნენ. ასეთი გეგმა ჰქონდა: ფაშატი უნდა დაეხატა იმავე ზომის ტილოზე, მისტიკური ტატლისთვის რომ შეარჩია, ოღონდ ჰორიზონტალურ სიბრტყეზე. შემდეგ სურათზე პლედს გადაფარებდა და მხოლოდ ფაშატის სიკვდილის შემდეგ მოხსნიდა. თავდაჯერებულობა იყო ღვთის მიერ შექმნილი არსებების ყოველდღიური სინამდვილის შედარება მოუხერხებელი ხელით დახატული ადამიანის სახებასთან, — გინდაც სწორედ ეს ყოველიყო მიზანი, რისთვისაც მისი კლიენტები ქირაობდნენ.

არ ელოდა, რომ ფაშატის დახატვა იოლი იქნებოდა. ფაშატს არც მოთმინება ეყოფოდა, არც პატივმოყვარეობა, რომ მისი ხათრით ცალი ჩლიქი ამაყად წამოედგა წინ და უძრავად მდგარიყო. არც ის გაახარებდა, რომ მისი უოდი და ენახა ტილო, რომელზეც უოდსუორთი მუშაობდა. გადასახადების ამკრეფი ახლა სწორედ ამას აკეთებდა, პორტრეტისტის უკან იდგა, მხართან გადმოხრილი ათვალეირებდა ნამუშევარს და შენიშვნებს აძლევდა. უოდსუორთს ეს არ მოსწონდა. ზემოთ იხედებოდა, უძრავი სახიდან მოძრავზე გადაჰქონდა მზერა. თავისებურად ახერხებდა მეტყველებასა და მოსმენას, სიტყვები ლაპარაკისა ვერ იგებდა. როცა ამკრეფმა კალამი მოიმიარა, უოდსუორთმა წერილი ფუნჯი ჟილეტის ღილის ბორცვს მოაშორა და ბლოკნოტს გახედა. „მეტი ღირსება“, დაწერა კაცმა, და ამ სიტყვებს ხაზი გაუსვა.

უოდსუორთი გრძობდა, რომ მისტერ ტატლის ისედაც საკმარისი ღირსება მისცა. სიმალე მოუმატა, ღიპი დაუპატარავა, ყელზე ბანჯგლიანი ხალი ვითომ ვერ შენიშნა; ბრაზიანობა წარმოადგინა გულმოდგინებლად, სიფიცზე — ზნეობრივ პრინციპად. ახლა კიდევ მეტი უნდოდა! ეს არაქრისტიანული მოთხოვნა იყო, და უოდსუორთის მხრივ არაქრისტიანული იქნებოდა ამაზე დათანხმება. ადამიანს ღვთის თვალში ვერაფერი შეემატებოდა, პორტრეტისტს როგორც არ უნდა გაეფუყა იმ ღირსებით, რასაც მოითხოვდა.

ხატავდა ჩვილებს, ბავშვებს, კაცებს, ქალებს და ცხედრებსაც კი. კლიენტების თხოვნით სამჯერ მიაბა თავისი ფაშატი სასიკვდილო სარეცელთან, რათა ცოცხლად წარმოედგინა ის, ვინც მკვდარი დახვდა. ეს რომ შესძლებოდა, უეჭველად იმის გადმოცემასაც მოახერხებდა, რა სწრაფად იგერიებდა ფაშატი კუდით ბუზებს, ან როგორ მოუთმენლად ასწევდა კისერს, სანამ პატრონი პატარა სამხატვრო ყუთს ამზადებდა, ან როგორ დაეცქვეტდა ყურებს, როცა უოდსუორთი ტყეში უცნაურ ხმებს გამოსცემდა.

ერთი პირობა სცადა, თავისი მიზანი შესტითა და ბგერით გაცხადებინა თანამომხმობისთვის. მართალია, რამდენიმე მარტივ მოქმედებას იოლად ბაძავდა: მაგალითად, შეეძლო, ეჩვენებინა, როგორ ერჩივნა დგომა კლიენტს. მაგრამ სხვა შესტები ხშირად გამოცნობანას შეურაცხყოფელი თამაშით სრულდებოდა. მისი გამოცემული ბგერები ვერ აზუსტებდა ვერც მის მოთხოვნებს, ვერც მისი, როგორც ადამიანური არსების — უფლის შექმნილი ან გადასხვაფერებული არსების ზოგად ბუნებას. ქალები მისი უხერხული ბგერების

გაგონებაზე იმრიებოდნენ, ბავშვებისთვის ეს გასართობი იყო, კაცებისთვის — ჩლუნგი გონების დასტური. ამ გზით წინ წაწევა რომ სცადა, არაფერი გამოუვიდა, ჰოდა, უკან დაიხია, ჩაიკეტა სიმუნჯეში, რომელსაც მისგან ელოდნენ და ალბათ ერჩივნათ კიდევ. სწორედ მაშინ იყიდა ხბოს ტყავგადაკრული ბლოკნოტი, რომელშიც ისევე და ისევე მეორდებოდა ყველა ადამიანური განცხადება და თვალსაზრისი. თქვენ გგონიათ, ზეცაში მხატვრობა იქნება, სერ? თქვენ გგონიათ, ზეცაში მხატვრობა იქნება, სერ?

მაგრამ მისი შეხედულება ადამიანებზე ნაკლებად ეყრდნობოდა მათ ჩანანერებს, აზრი უფრო მდუმარე დაკვირვებისას უყალიბდებოდა. კაცებს — და ქალებსაც, — ეგონათ, შეეძლოთ ხმისა და აზრების შეცვლა ისე, რომ სახეზე არაფერი შესტყობოდათ. ძალიან სცდებოდნენ. როცა უოდსუორთი თვალს ადევნებდა ადამიანთა კარნავალს, სახე ისეთივე უმეტყველო ჰქონდა, როგორც ენა, მაგრამ თვალის გაცილებით მეტს ეუბნებოდა, ვიდრე ვინმე იფიქრებდა. ერთ დროს ბლოკნოტი ედო ხელნაწერი ბარათების შეკვრა, სადაც სასარგებლო პასუხები, აუცილებელი წინადადებები და კულტურული შესწორებები ეწერა იმის თაობაზე, რასაც კლიენტს სთავაზობდა. ერთი განსაკუთრებული ბარათიც ჰქონდა — იმ შემთხვევისთვის, თუკი მოსაუბრე გაყოყნდებოდა და წესიერების ფარგლებს გასცდებოდა. ბარათში ეწერა: „სერ, გულისხმიერება მამში ნაც მოქმედება, როცა გონების კარნავალი დახშულია“. ამას ხან საყვედურად იღებდნენ, ხან თავხედობად მიიჩნევდნენ ერთი უბრალო ხელოსნისგან, რომელსაც საჯინობოში ეძინა. უოდსუორთმაც ხელი აიღო ამ საქმეზე — რომელიმე უხიავი პასუხის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ეს მომეტებულ უნარს მოითხოვდა. სხვებს ენის სამყაროში უპირატესობა ჰქონდათ: ისინი იყვნენ გადამხდელები, ისინი იყვნებდნენ ძალაუფლებას, ისინი შედიოდნენ საზოგადოებაში, ერთმანეთს ბუნებრივად უზიარებდნენ ფიქრებს და მოსაზრებებს. თუმცა, უოდსუორთი სულაც არ მიიჩნევდა, რომ თავისთავად ლაპარაკი სიქველის წამახალისებელი იყო. თვითონ ორადორი უპირატესობა ჰქონდა: შეეძლო ტილოზე წარმოედგინა მოლაპარაკე ადამიანები, და შეეძლო, უხმოდ ჩასწვდომოდა მათ გულისხმადებს. სისულელე იქნებოდა ამ მეორე უპირატესობის დათმობა.

თუნდაც პიანინოს ამბავი ავიღოთ. უოდსუორთმა ჯერ იკითხა, თავისი გასამრჯელოს ნუსხის მითითებით, რას ისურვებდა გადასახადების ამკრეფი — მთელი ოჯახს პორტრეტს, თავისი და ცოლის ერთად დახატული პორტრეტს თუ ერთობლივ პორტრეტს, შესაძლოა, ბავშვების მინიატურებით. მისტერ ტატლიმ, ცოლისთვის არც შეუხედავს, ისე დაიარჩოთი ჯერ მკერდზე და მერე ჩამოწერილ ფასებზე: „მარტო მე“. მერე ერთი გახედა ცოლს, ხელი ნიკაპზე დაიდო და დასძინა: „პიანინოს გვერდით“. უოდსუორთმა შენიშნა ლამაზი, ბრწყინვალე ფეხებიანი ინსტრუმენტი და შესტით ჰკითხა, შემიძლია თუ არა, მივუახლოვდეთ. ამის მერე რამდენიმე პოზა აჩვენა: დაწყებული მინაურულად ჯდომიდან გახსნილ კლავიატურასთან, პიუპიტრზე გადაშლილი საყვარელი სიმღერით და დამთავრებული უფრო ოფიციალურად დგომით ინსტრუმენტის გვერდით. ტატლიმ უოდსუორთის ადგილი დაიკავა, გასწორდა, ცალი ფეხი

წინ წამოვდგა, დაფიქრდა და პიანინოს სახურავი დახურა. უოდსუორთი მიხვდა, რომ მხოლოდ მისი ტატლი უკრავდა პიანინოზე; იმასაც მიხვდა, რომ ტატლის უნდოდა, პიანინოს ჩართვით ქალიც ჩაცხვავდა პორტრეტში. ეს გზა იყო ირიბი, და უფრო იაფი.

პორტრეტისტმა გადასახადების ამკრეფს ბავშვების რამდენიმე მინიატურა აჩვენა, იმ იმედით, იქნებ, გადაიფიქროსო, მაგრამ ტატლიმ თავი გააქანია. უოდსუორთი გული დასწყდა, ნაწილობრივ, ფულის გამო, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ბავშვების ხატვა სულ უფრო და უფრო სიამოვნებდა, ამჯერად კი მშობლებმა უარი თქვეს. მართალია, ბავშვები მოზრდილებზე უფრო მოძრავები იყვნენ, გარეგნულად უფრო გაფანტულები, მაგრამ ყრუს მათი თვალებით ესმოდა, ისინიც თვალბეჭდებში უყურებდნენ. ბავშვები მის მზერას იჭერდნენ, და უოდსუორთიც სწვდებოდა მათ ბუნებას. მოზრდილები ხშირად განზე იცქირებოდნენ, ან თავშეკავებულობის, ან რამის დაფარვის სურვილის გამო, ზოგიერთი კი, გადასახადების ამკრეფით, ყალბი გულწრფელობით, გამომწვევად უსწორებდა თვალს, თითქოს ეუბნებოდნენ, დიახ, რასაკვირველია, ჩემი თვალბეჭდები რაღაცნაირად, მაგრამ შენ ამის მიხედვით უნარი არა გაქვსო. ასეთ კლიენტებს მიაჩნდათ, უოდსუორთის ბავშვებთან სიახლოვე ადასტურებს, რომ ბავშვებივით, ამასაც აკლია გონიერებაო. უოდსუორთის რწმენით კი ბავშვებთან მისი სიახლოვე იყო დასტური, რომ ისინიც ისევე ნათლად ხედავდნენ, როგორც თვითონ.

როცა პირველად მოჰკიდა ხელი თავის საქმეს, ფუნჯებსა და საღებავებს ზურგზე მოკიდებულმა ატარებდა და ტყის ბლიკებზე წვრილმანებით მოვაჭრესავით დაეხეტებოდა. გზა თვითონ გაიკვლია, რეკომენდაციებითა და სარეკლამო განცხადებებით, მაგრამ გულმოდგინედ შრომობდა, კომუნიკაბელური ბუნება ჰქონდა და მაღალი იყო, რომ მისი ხელობა საშუალებას აძლევდა, სხვების ცხოვრებაშიც ჩაეხედა. ოჯახში შედიოდა და, მართალია, საჯინიბოში ედო ბინა და მსახურებთან ერთად ცხოვრობდა (სტუმარივით ძალიან იშვიათად ექცეოდნენ, მხოლოდ ყველაზე პრისტიანულ სახლებში), ამ რამდენიმე დღის განმავლობაში თავისი წილი ფუნქციაც ჰქონდა და აღიარებაც. ეს არ ნიშნავდა, რომ სხვა ხელოსნებზე ნაკლები მედიდობით ექცეოდნენ, მაგრამ სულ მცირე, ნორმალურ არსებად მაინც მიიჩნეოდნენ; ასე ვთქვათ ერთ უბრალო ადამიანად, ვინც გულმონყალებას იმსახურებდა. ძალიან ბედნიერი იყო, შეიძლება, პირველად მის ცხოვრებაში.

და მერე, ყოველგვარი დახმარების გარეშე, საკუთარი ალქმის მიღმა, თანდათანობით მიხვდა, რომ მას მეტი ჰქონდა, ვიდრე უბრალოდ, ფუნქცია; ძალა ჰქონდა. დამქირავებლები ამას თავის დღეში არ აღიარებდნენ, მაგრამ თვალები ეუბნებოდა, რომ საქმე ეს იყო. ნელ-ნელა მიხვდა თავისი ხელობის ქემარტივობას: კლიენტი მხოლოდ მაშინ იქნებოდა ბატონი, თუ თვითონ ჯემიზ უოდსუორთი არ გაბატონდებოდა კლიენტზე. თავიდანვე თვალთ იგებდა, რას უმაღლავდა კლიენტი. ქმრის შერცხვება. ცოლის დაუკმაყოფილებლობა. დიაკნის თვალთმაქცობა. ბავშვის ტანჯვა. კაცის სიამოვნება ცოლის ფულის ხარჯვისას. ქმარს რომ თვალის გაურბოდა მოახლისკენ. დიდი ამბები პატარა სამეფოებში.

მოგვიანებით, აღმოაჩინა, რომ როცა საჯინიბოში ადგებოდა, ტანსაცმლიდან ცხენის ბენებს ჩამოიცილებდა, მერე სახლს გადავივლიდა და რომელიღაც ცხოველის ბენვით დამზადებულ ფუნჯს აიღებდა, იქნებდა მეტ მნიშვნელობას, ვიდრე ეგონათ. იმ ადამიანებმა, ვინც დასახატად ისხდნენ და უხდინდნენ, სინამდვილეში არც იცოდნენ, ფულით რას ყიდულობდნენ. მათ იცოდნენ, რაზე შეთანხმდნენ — ტილოს ზომასზე, პოზასა და დეკორატიულ ელემენტებზე (მარწყვის თასი, ჩიტი მავთულზე, პიანინო, ხედი ფანჯრიდან) — და ამ შეთანხმებას ბატონობად თვლიდნენ. მაგრამ სწორედ ამ დროს დგებოდა წუთი, როცა ბატონობა მეორე მხარეს გადადიოდა. მანამდე საკუთარი თავი ნანახი ჰქონდათ მინებასა და ხელის სარკეებში, კოვზის ზურგებში, და სუფთა, უძრავ წყალში — ბუნდოვნად. იმასაც კი ამბობდნენ, შეყვარებულები ერთმანეთის თვალბეჭდებში ხედავენ თავიანთ ანარეკლებსო, მაგრამ პორ-

ტრეტისტს ამის გამოცდილება არ ჰქონდა. ყველა ასეთი გამოსახულება დამოკიდებული იყო პიროვნებაზე სარკის, კოვზის, წყლის, თვალის პირისპირ. როცა უოდსუორთი კლიენტებს თავიანთ პორტრეტებს გადასცემდა, ისინი პირველად ხედავდნენ საკუთარ თავს სხვისი თვალთ. ხანდახან, სურათის წარდგენისას, პორტრეტისტი შენიშნავდა ხოლმე, კლიენტს სახეზე როგორ გადაუვლიდა უცარი სუსხი, თითქოს ფიქრობს, მაშ სინამდვილეში ასეთი ვარო? ეს იყო აუხსნელი სეროზულიზმის ნიშანი: ეს სახე იყო ის, რასაც დამახსოვრებდნენ სიკვდილის შემდეგ. და მერე სერიოზულობა მატულობდა. უოდსუორთი საკუთარ თავს თავდაჯერებულობად არ უთვლიდა, როცა თვალთ ეუბნებოდა, რომ ხშირად კლიენტის შემდეგი ფიქრი იყო — „იქნებ, უფალიც ასე მხედავს?“

ის, ვისაც თავმდაბლობა აკლდა და ასეთი ეჭვები არ იპყრობდა, სურვილი უჩნდებოდა, ისე მოქცეულიყო, როგორც ახლა ამკრეფი იქცეოდა: შესწორებებსა და გაუმჯობესებებს მოითხოვდა, პორტრეტისტს ეუბნებოდა, ხელი და თვალი არ გივარგაო. ეყოფოდათ კი პატივმოყვარეობა, თავის მხრივ უფლისთვისაც შეეჩვივლათ? „მეტი ღირსება, მეტი ღირსება“. სამზარეულოში ორი ღამის წინ მისტერ ტატლის საქციელისთვის სრულიად შეუსაბამო მოთხოვნა.

მითქმის დღის შრომით კმაყოფილი უოდსუორთი ვახშობდა. ახლახან დაამთავრა პიანინო. ინსტრუმენტის ვინრო ფეხი პარალელს ჰქმნიდა ტატლის უფრო მასიურ კიდურთან, და მთავრდებოდა დიდი ბრწყალით, რომლის გამოსახვაც უოდსუორთის ცოტა არ იყოს, გაუჭირდა. მაგრამ ახლა შეეძლო, ამოესუნთქა, ცეცხლთან გაჭიმულიყო, დანაყრებულიყო და მსახურთა საზოგადოება შეეთვალაიერებინა. ამდენ მსახურს არც ელოდა. გადასახადების ამკრეფი ალბათ კვირაში ორმოცდაათ დოლარს იღებდა, ეს მოახლის ასაყვანად თუ ეყოფოდა. თუმცა ტატლის კიდევ მზარეულიც ჰყავდა და ერთი ბიჭიც, ბაღში სამუშაოდ. რაკი გადასახადების ამკრეფი იმ კაცს არ ჰგავდა, საკუთარ ფულს რომ ფანტავს, უოდსუორთმა დაასკვნა, ასეთი ფუფუნების საშუალებას ალბათ მისი ტატლის წილი აძლევსო.

მსახურები მის დეფექტს მიეჩივნენ, და გაუშინაურდნენ, თითქოს სიერეუ მათთან ატოლებდა. ასეთ თანასწორობას უოდსუორთი ხალისით ხვდებოდა. მეზაღე ბიჭმა, მოხალული ყავის თვალბეჭდვანმა ელფმა, უოდსუორთის ოინებით გართობა წამოიწყო. თითქოს ეგონა, რომ პორტრეტისტი, რაკი ვერ ლაპარაკობს, გართობაც აკლიაო. ასე სულაც არ იყო, მაგრამ უოდსუორთი დიდსულოვნად უბამდა მხარს და ღიმილით შესცქეროდა, როგორ აგორებდა ბიჭი ურიკის ბორბლებს, როგორ ეპარებოდა მზარეულს, როცა ის ქურასთან იხრებოდა, როგორ ეთამაშებოდა მუშტებში დამალული რკოებით.

პორტრეტისტმა წვინანი დაამთავრა და ცეცხლის წინ თებოდა (ამ ელემენტს მისტერ ტატლი სახლში სხვაგან არსად სწყალობდა), როცა ერთი აზრი მოუვიდა. ფერფლიდან დანახშირებული ჯოხი ამოაძრო, მეზაღე ბიჭს მხარზე შეახო, ანიშნა, როგორცა ხარ, ეგრე დარჩიო, და ჯიბიდან სახატავი ალბომი ამოიღო. მზარეული და მოახლე ცდილობდნენ, ჩაეჭყიტათ, რას აკეთებდა, მაგრამ ხელით მოიშორა, თითქოს ეუბნებოდა, ეს ოინი, რომელიც მადლიერების ნიშანია ბიჭის ოინებისთვის, არ გამოვა, თუ ვინმე მიყურებსო. უხეში ჩანახატი იყო — ასეთი ტლანქი ინსტრუმენტით სხვანაირი ვერც გამოვიდოდა, — მაგრამ ცოტათი მაინც ჰგავდა. მერე ფურცელი ამოხია და ბიჭს გადასცა. ბავშვმა ახედა, გაოცებითა და მადლიერებით, ჩანახატი ფრთხილად დადო მაგიდაზე, უოდსუორთის ხელი აიღო და აკოცა. პორტრეტისტმა ბიჭს თვალბეჭდში ჩახედა და იფიქრა, ყოველთვის ბავშვებს დაეხატავო.

არ იცოდა, რომ როცა ის ორი ნახატს აკვირდებოდა, ხარხარი ატყდა, და მერე სიჩუმე ჩამოვარდა — უეცარ ხმაურზე გადასახადების ამკრეფი შემოვიდა სამზარეულოში.

პორტრეტისტი თვალს ადევნებდა, როგორ იდგა ტატლი, ცალი ფეხი წინ წამოწია, როგორც პორტრეტში, პირი ისე იღებოდა და იხურებოდა, ღირსებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დეკორატორის


თვალთ შეჰყურებდა, როგორ დაუბრუნდნენ მზარეული და მოახლე თავიანთ ადგილებს. თვალს ადევნებდა, ბატონის მზერით აფორიაქებულმა ბიჭმა როგორ აიღო და მოკრძალებული სიამაყით გადასცა ნახატი გადასახადების ამკრეფს; ტატლიმ როგორ მშვიდად გამოართვა ფურცელი, დააკვირდა, ბიჭს დააცქერდა, უოდსუორთს წამით გახედა, თავი დააქანია, აუჩქარებლად დახია ფურცელი ოთხ ნაწილად, ცეცხლში შედო, მოიცადა, სანამ ალი მოედებოდა, მერე რაღაც თქვა, პორტრეტისტიგან მეოთხედზე შებრუნებული პროფილით, და აუჩქარებლად გავიდა. შეჰყურებდა, როგორ ქვითინებდა ბიჭი.

პორტრეტისტი დასრულებული იყო: ორ-ივეს სხივი ეფინებოდა, ვარდისფერ პიანინოსაც და გადასახადების ამკრეფსაც. პატარა, თეთრი საბაჟო ავსებდა ფანჯარას მისტერ ტატლის იდაყვთან — იქ არც ნამდვილი ფანჯარა იყო, და მითუმეტეს, საბაჟოც არსაიდან ჩანდა. თუმცა ყველა ხვდებოდა სინამდვილის ამ ზომიერი გაზვიადების მიზეზს. შესაძლოა, ამკრეფი, თავისი ქკუით, მხოლოდ ასეთ გაზვიადებას მოითხოვდა, როცა გაიძახოდა, მეტი ღირსებაო. მაინც იხრებოდა უოდსუორთისკენ, თითო ანიშნებდა დახატულ სახეზე, მკერდზე, ფეხზე. მერე რა, რომ პორტრეტისტს არ ესმოდა, რას ამბობდა. ზუსტად იცოდა, რას გულისხმობდა, და რა უმნიშვნელო იყო ეს ყველაფერი. მართლაც, უპირატესობა იყო, რომ არ ესმოდა, რადგან განსაკუთრებული უეჭველად აამალა გაცილებით დიდ ბრაზზე, ვიდრე ის იყო, რასაც ამჟამად გრძობდა.

ბლოკნოტს მისწვდა. „სერ, — დანერა მან, — შევთანხმდით ჩემი შრომის ხუთ დღეზე. ხვალ დილით, გამთენიისას უნდა წავიდე. შევთანხმდით, რომ ამალამ გადამიხდით. გადამიხადეთ, მომეცით სამი სანთელი და დილისთვის მოვთავაზებ. ისე შეეცვლი, როგორც ითხოვთ“.

იშვიათად ეკიდებოდა კლიენტს ასე ადგებულად. ეს იმ მხარეში რეპუტაციას შეუღალავდა მაგრამ აღარ ენაღვლებოდა. კალამი გარწონდა მისტერ ტატლის. იმან მიღება არ ინება. შებრუნდა და ოთახიდან გავიდა. პორტრეტისტი ელოდებოდა და თავის ნამუშევარს აკვირდებოდა. კარგად იყო შესრულებული: პროპორციები — სასიამოვნო, ფერები — ჰარმონიული, და მსგავსება — ზომიერი. ამკრეფი კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, შთამომავლობა — შთაბეჭდილებით სავსე, და შემქმნელი — ყოველთვის დარწმუნებული, რომ ზეცა სწყალობდა. სასაყვედურო არაფერი ჰქონდა.

ტატლი დაბრუნდა და გადასცა ექვსი დოლარი — გასამრჯელოს ნახევარი — და ორი სანთელი. უეჭველია, მათ ფასს გასამრჯელოს მეორე ნახევრიდან დაუქვითავდა, როცა გადახდის დრო მოვიდოდა. თუ საერთოდ დადგებოდა გადახ-



დის დრო. უოდსუორთმა დიდხანს უყურა პორტრეტს, ბოლო დღეებში ირწმუნა, რომ სურათი ხორცშესხმული ორეულის შესაბამისი გამოვიდა. მერე რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც ყოველთვის, სამზარეულოში ივანებდა. მსახურები ბოლო ორი ღამე დათრგუნულები იყვნენ. აზრადაც არ მოსვლია, მე მადანაშაულებენ ბიჭთან ინციდენტის გამო; უფრო იმას ფიქრობდნენ, რომ უოდსუორთის იქ ყოფნამ შეაცდინათ და დაისაჯენ. ყოველ შემთხვევა-

ში, უოდსუორთს ასე ეგონა, და ეეჭვებოდა, რომ რამეს ნათელი მოეფინებოდა, მისი აზრების გაგონება ან ტუჩებით ნაკითხვა რომ შესძლებოდათ; სინამდვილეში, ალბათ პირიქით მოხდებოდა. თუ ადამიანების ფიქრებითა და დაკვირვებებით სავსე ბლოკნოტი რამეს ნიშნავდა, თავის-თავად სამყაროს შეცნობა, როცა ყველაფერი ნათქვამია და ჩანერილი, ბევრი არაფერი ღირდა.

ამჯერად ნახშირი უფრო ფრთხილად შეარჩია და ჯიბის დანით გაუფხიკა ბოლო, ცოტათი მაინც რომ წაეწვია. მერე ისევ დახატა ბიჭი, რომელიც პირდაპირ ეჯდა, უძრავად, იმიტომ კი არა, რომ ხატავდნენ, არამედ იმიტომ, რომ გულდამძიმებული იყო. როცა დაასრულა, ფურცელი ამოხია, ბიჭის თვალწინ დაკეცა, ფსხტით ანიშნა, პერანგის ქვეშ დამალვო და მაგიდის მეორე მხარეს გადაანოდა. ბიჭმა ერთი თვალის შეავლო სურათს, მისვე შეინახა და იმ საღამოს პირველად გაიღიმა. მერე, უოდსუორთმა მზარეული დახატა, მერე — მოახლო. ყოველი სურათის დაწყების წინ ნახშირს წვეს უმზახვებდა. ერთმაც და მეორემაც გამოართვეს დაკეცილი ფურცელი და უნახავად დამალეს. მერე ადგა, ყველას ხელი ჩამოართვა, მეზაღე ბიჭს მოეხვია და თავის ღამის სამუშაოს მიუბრუნდა.

„მეტი ღირსება“, — გაიმეორა გულში, როცა სანთლები დაანთო და ფუნჯი აიღო ხელში. კარგი... ღირსეული კაცი ისაა, ვისი გარეგნობაც მიაჩნდება ფიქრიან ცხოვრებას, ვისაც შუბლზე აზის ფიქრის ნიშანი. ჰო, შეიძლება და გაუმჯობესება. გაზომა მანძილი წარბსა და თმის დასაწყისს შორის, ცენტრში, მარჯვენა თვალის კაკლის გასწვრივ, წარბი დაამუშავა: გააფართოვა, პატარა ბორცვი დაასვა, თითქოს რაღაც უნდა ამოზრდილიყო. მერე მარცხენა თვალის ზემოთაც იგივე გააკეთა. ჰო, ასე სჯობდა. მაგრამ ღირსება კაცს ნიკაპზეც უნდა შეტყობოდა. ის კი არა, რომ ტატლის ყბის ფორმა ამკრეფს შეუსაბამოდ შეეცვინა, მაგრამ ალბათ წვერის თვალსაჩინო ხაზი დაეხმარებოდა — რამდენიმე მონასში ნაკაპის ორივე მხარეს. ისეთი არაფერი, რაც დაუყოვნებლივ შენიშვნის მიზეზი გახდებოდა... შეურაცხყოფაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მხოლოდ შტრისი.

შეიძლება, სხვა ნიშანიც იყო საჭირო. დაუყვა ამკრეფის მძლავრ, ღირსებით სავსე ფეხს, წინდის წვეს, ბალთიან ფეხსაცმელად. შემდეგ გაჰყვა პიანინოს პარალელურ ფეხს, დახურული კლავიალაში, რომელსაც იმდენი დრო მოანდომა. იქნებ, შეიძლება ამ წვალეების თავიდან აცილება? ამკრეფს არ დაუზუსტებია, რომ პიანინოსაც ანახლავდა და. თუკი პატარა გაზვიადება ფანჯარასა და საბაჟოს შეეხებოდა, პიანინო რა დააშავა? ბრწყალის სანახაობა მეზაღის გვერდით ხაზს უსვამდა მტაცებულ ბუნებას, რომლის გამჟღავნება არც ერთ კლიენტს არ უნდოდა, გინდაც ეს უეჭველი ყოფილიყო. ამდენად, უოდსუორთმა კატისებრთა ბრწყალი შეცვალა უფრო მშვიდი, ნაცრისფერი და ოდნავ გაპოხილი ჩლიქით.

ჩვევამ და კეთილგონიერებამ აფიქრებინა, ჩაეჭრა ნაწყალობევი ორი სანთელი, მაგრამ პორტრეტისტმა გადაწყვიტა, ანთებულს დაეკრებო. ახლა სანთლები მისი იყო — მაინც მოუწევდა მათი საფასურის გადახდა. სამზარეულოში ფუნჯები გარეცხა, სახატავი ყუთი შეკრა, ფაშატი შეკაზმა და პატარა ურიკაში შეაბა. თითქოს ფაშატსაც პატრონივით უხაროდა აქედან წასვლა. საჯინიბოდან რომ გამოვიდნენ, დაინახა სანთლის შუქით შემოხაზული ფანჯრები. უნაგირზე შეფოფხდა. ფაშატი შეტოკდა, და კაცმა თანდათანობით იგრძნო ცივი ჰაერი სახეზე. ერთი საათის შემდეგ, გამთენიისას, მის ბოლოს წინა პორტრეტს დაათვალაიერებდა, ჩამწვარი სანთლების გასატანად შემოსული მოახლე. იმედი ჰქონდა, რომ ზეცაში ხატვაც იქნებოდა, მაგრამ უფრო მეტად იმის იმედი ჰქონდა, რომ ზეცაში სიყრუეც იქნებოდა. ფაშატი, რომელიც მალე მისი საბოლოო პორტრეტის ნატურა უნდა გამხდარიყო, თავის გზას დაადგინა ბლიკზე. ცოტა ხნის მერე, მისტერ ტატლის სახლი უკან მოიტოვა, სადღაც შორს. და ტყის მდუმარება უოდსუორთის ხმამაღლა ყვირილმა დაარღვია.

მწერლები იცინიან

„ის, რაც სასაცილოა, არ შეიძლება საშიში იყოს“.
ვოლტერი

დანიელი მწერალი-მეზღაპრე ქრისტიან ანდერსენი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თავის ჩაცმულობას. მწერლის გაცვეთილ პლაშს და შლაპას მთელი კოპენჰაგენი იცნობდა.

ერთხელ, როცა ანდერსენი კოპენჰაგენის გაკრიკლებულ ქუჩებში სეირნობდა, ერთმა გამვლელმა ჰკითხა:

— უკაცრავად, ამ საცოდავ საგანს თქვენს თავზე თქვენ შლაპას ეძახით?

ანდერსენი არ დაიბნა და მშვიდად შეუბრუნა კითხვა:

— როგორ, ამ საცოდავ საგანს, თქვენი შლაპა რომ ახურავს, თქვენ თავს უწოდებთ?

ერთხელ გერმანელ მწერალს ბერტოლდ ბრეტს უცნობმა პროვინციელმა



დრამატურგმა პიესა გაუგზავნა და მისწერა: „მთელი მსოფლიოს დრამატურგებისაგან იმით გამოვიჩრევი, რომ მძიმეებს არ ვსვამ, რადგან ზედმეტად მიმანია. თუ თქვენ სხვა აზრისა ბრძანდებით, გთხოვთ, სადაც საჭიროდ ჩათვალოთ, დასვით მძიმეები“.

ბრეტმა პიესა დაუბრუნა და მისწერა: „მიმანია, რომ მძიმეები აუცილებელია და გთხოვთ, შემდეგში მხოლოდ მძიმეები გამომიგზავნოთ, ტექსტს კი როგორმე თავად შევთხზავ.“

ერთმა მოპოეტო პიროვნებამ ვოლტერს წაუკითხა საკუთარი ოდა, რომელსაც ერქვა — „შთამომავლობას“, და სთხოვა, აზრი გამოეთქვა.

ვფიქრობ, თქვენი ოდა შთამომავლობამდე ვერ მიაღწევს, — უპასუხა ვოლტერმა.



ვოლტერი დიდად აფასებდა შვეიცარიელი პოეტისა და მეცნიერის ჰალერის შემოქმედებას. ერთმა საერთო ნაცნობმა უთხრა: ჰალერს არც თუ ძალიან მოსწონს თქვენი ნაწარმოებები.

— სამწუხაროდ, — უპასუხა ვოლტერმა, — ადამიანები ხშირად სცდებიან. ამ შემთხვევაში, ალბათ, ორივენი ვცდებით.

ერთმა საშუალო ნიჭის დრამატურგმა ვოლტერს შესჩივლა:

— როგორც კი თქვენი ტრაგედიები წავიკითხე, ტრაგედიებს შევეშვი და კომედიებს ვწერ.

— როგორც ჩანს, თქვენ ჯერ კიდევ არ წავიკითხავთ მოლიერი, — შენიშნა ვოლტერმა.

საფრანგეთის აკადემიაში ისმენდნენ ლექციას მხატვრულ ლიტერატურაზე.
— ფრანგული ენის დაცემა დაიწყო 1719 წელს... — განაცხადა მცოვანმა მომსახურებელმა.

ჰიუგო წამოდგა და მოკრძალებით ჰკითხა:

— ხომ არ ინებებდით და დააზუსტებდით, რომელ საათზე?

ჰიუგოს ახალი წიგნი რომ გამოვიდა, ავტორი დაინტერესდა როგორ სალდებოდა წიგნები და გამოცემელს პატარა ბარათი გაუგზავნა, სადაც ეწერა: „?“. გამოცემელმა უმალ უპასუხა: „!“.

დიუმას საფრანგეთის ერთ ქალაქში ჩავიდა და გადამწყვიტა წიგნების მალაზიას სწვევდა. მალაზიის გამყიდველმა წინასწარ შეიტყო მწერლის განზრახვა და ყველა თარო დიუმას წიგნებით შეავსო.

მწერალს გაუკვირდა და ჰკითხა:

— სხვა ავტორები სად არიან?

— სხვები? — დაიბნა გამყიდველი, — სხვები გაიყიდა.



დიუმამ ასობით წიგნი დაწერა. სიბერეში ამბობდა ხოლმე:

— დღე-ღამეში ოცდახუთ საათის განმავლობაში ვწერდი.

— მაგრამ დღე-ღამეში ხომ ოცდაოთხი საათია, — გაუკვირდა ერთ თანამოსაუბრეს.

— მე ერთი საათით ადრე ვიწყებდი წერას, — თავი იმართლა მწერალმა.

ერთმა დრამატურგმა ანდრე ჟიდი თავისი პიესის პრემიერაზე დაპატიჟა. მეორე მოქმედების შემდეგ ანდრე ჟიდი პიესის ავტორს უთხრა:

— ეტყობა, ახლა ძალიან ცუდი ამინდია და ძლიერ წვიმს.

— რატომ ფიქრობთ ასე? — დაინტერესდა გაკვირებული ავტორი.

— იმიტომ, რომ მეორე მოქმედების დამთავრების შემდეგ არავინ გავიდა და რბაზიდან, — უპასუხა ანდრე ჟიდი.

ხანგრძლივი მოგზაურობისას ფრანსუა რაბლეს ერთ-ერთ ქალაქში ფული გაუთავდა და პარიზში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ გზის ფულიც არ აღ-



მოაჩნდა. აილო შაქრის ნატეხი, გაახვია ქალაქში, ნაანერა: „სანამლავი ხელმწიფისათვის“, და მაგიდაზე დადო. შეშინებული სასტუმროს დამლაგებელმა ეს პაკეტი სასტუმროს დირექტორს მიუბრუნა, ამ უკანასკნელმა კი სასწრაფოდ გამოიძახა პოლიცია. რაბლე დააპატიმრეს და უმალ პარიზისაკენ გააქანეს. პარიზის პოლიციაში რაბლემ აღიარა თავისი განზრახვა და შაქარი თვითონ მიირთვა. გაეცინათ და სახლში გაუშვეს.

ერთმა მეცნიერმა სოკრატეს ჰკითხა: როგორ უნდა განვიკურნოთ ერთი ნახვით შეყვარებისაგანო.

— საჭიროა, ყურადღებით შეხედოთ მეორედ!

ერთხელ მარკ ტვენმა რედაქციაში ანონიმური წერილი მიიღო. წერილში ერთადერთი სიტყვა ეწერა: „ლორი“. მეორე დღეს მარკ ტვენმა საკუთარ გაზეთში პასუხი გამოაქვეყნა:

— ნესისამებრ, ხელმოწერილ წერილებს მიგზავნიან, გუშინ კი მივიღე ავტორის ხელმოწერა წერილის გარეშე.

ერთხელ მარკ ტვენს რედაქციაში ერთმა ავტორმა ბევრი სუსტი ლექსი გაუგზავნა საერთო სათაურით — „რატომ ვარ ცოცხალი?“.

„იმიტომ, რომ ლექსები ფოსტით გამოავგზავნეთ და პირადად არ გამოცხადდით რედაქციაში,“ — უპასუხა მარკ ტვენმა.

ერთმა მკითხველმა ჰემინგუეის ირონიული წერილი გაუგზავნა: „შევიტყვე, რომ თქვენ ყოველ სიტყვაში დოლარს გიხ-



დიან. გიგზავნით ერთ დოლარს და გთხოვთ, გამომიგზავნოთ თქვენი შემოქმედების ნიმუში.


„გმადლობთ!“ — უპასუხა ჰემინგუეიმ.

ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა მწერლებს შეკითხვით მიმართა: რომელ წიგნს წაილებდით, უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩენის შემთხვევაში.

დაასახელეს განსხვავებული ავტორები: შექსპირი, სვიფტი, „ბიბლია“ და ასე შემდეგ.

ინგლისელმა მწერალმა ჰელბერტ ჩესტერტონმა უპასუხა: „უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრის შემთხვევაში, ვისურვებდი წიგნს ნაგების აგების შესახებ“.

ერთხელ ბერნარდ შოუს ჰკითხეს, რომელ სხვა ეპოქაში ისურვებდა ცხოვრებას.



— ნაპოლეონისდროინდელ საფრანგეთში, — იყო პასუხი.

— რატომ? — გაუკვირდა შემკითხველს.

— იმიტომ, რომ მაშინ ერთადერთი პიროვნება თვლიდა თავის თავს ნაპოლეონად.

— რამდენი შემოსავალი დაგაკმაყოფილებდათ, რომ თავი ბედნიერად გეგრძნოთ? — ჰკითხეს ბერნარდ შოუს.

— იმდენი, რამდენიცა მაქვს ჩემი მეზობლების აზრით, — უპასუხა ბერნარდმა.

დამთავრდა პრემიერა ბერნარდ შოუს პიესისა „ადამიანი და ზეადამიანი“. ავტორი სცენაზე ავიდა, რათა მადლობა გადაეხადა აღტაცებული მაყურებლებისათვის, რომლებიც ტაშს უკრავდნენ. უცებ შოუს გვერდით ამოუდგა ერთი მაყურებელი, რომელსაც პიესა არ მოეწონა, და სცენა დაიწყო.

შოუმ დარბაზი დაანყნარა და უკმაყოფილოს მიმართა:

— ძვირფასო მეგობარო, სრულიად ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას, მაგრამ რა ვიღონოთ, ჩვენს მხოლოდ ორნი ვართ და უძლურები აღმოვჩნდით ამხელა დარბაზის წინაშე.

ერთხელ, თანამედროვე ტექნიკის მიღწევებზე საუბრისას, შოუმ განაცხადა:

— ახლა, როცა ვისწავლეთ ჩიტივით ცაში ფრენა და თევზივით წყალქვეშ ცურვა, ისლა დაგვრჩენია, ვისწავლოთ მინაზე ადამიანური ცხოვრება.

ბერნარდ შოუმ თავისი ცნობილი პიესის „კანდიდის“ პრემიერის შემდეგ მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობ ქალბატონს დეპეშა გაუგზავნა: „შესანიშნავია, განუმეორებელია, ღვთიურია“...

აღელვებულმა მსახიობმა უპასუხა: „თქვენ აჭარბებთ“.

შოუმ მეორე დეპეშა გაუგზავნა: „მე მხედველობაში მქონდა პიესა“.

მსახიობმა უპასუხა: „ამეც!“.

ლიტერატურული გაზეთი
 გამომდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ყურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com